

345 / 3
1892

საქართველოს
საბჭოთაო
საქართველო

№ VI




1892

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქუჩნალის «ჯეჯილი»-სა

	გვ.წ.
I. პაწია, — ლექსი, ზეზვასი	3
II. პატარა დიაკონი, — თ. ხუსკივაძის	5
III. არწივი და ყვავი, ლექსი — თეოფ. კანდელაკის	19
IV. თამროს შეხვედრა, (ამბავი ხოლერობის დროიდან), კე. გაბაშვილის	23
V. დედის სიყვარული, (ნათარგმნი) ან. თ.-წ—სა	27
VI. ტკბილი და მწარე, ლექსი — აგაგისა	35
VII. გარიელა, (თამარ დედოფლის ლეგენდა) — თ. წაზიკაშვილის	37
VIII. ზამთარი, ლექსი, შ. შვიციანი	43
IX. ვეფხის-ტყაოსანი, ნამბობი მოზრდილი ყმაწვილებისათვის გ. ი — სა	45
X. ხალხური ლექსი (გაგონილი და ჩაწერილი ი. გომელაურის მიერ).	53
XI. მამაცი ზღარბი ივ. გრიგოლიძისა	55
XII. ჩენი ძველი გმირები გ. წყნეთისა	58
XIII. სამყარო (დასასრული), — ერ. ბაქრაძისა	65
XIV. ფუტეცობა (სათამაშო) — (ჩაწერილი თ. ხუსკივაძის)	76
XV. ობლები, ან. თ.-წ—სა	77
XVI. ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, ზმა, სამათე- მატიკო გამოცანები, შარადა და რებუსი	79



ვისაც სურს წარსული წლების „ჯეჯილი“-ს ნომრების ყიდვა, შეუძლიანთ იყიდონ ქ. ტფილისში ახალ გაღებულ ქართულ წიგნების საკითხავში (არწრუნისეულ ქარავსლის ეზოში) და ქ. ქუთაისში ძმათა წერეთელთა წიგნის მაღაზიაში.



ჯეჯილი

ს ა ყ მ ა წ ვ ი ლ ო ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი

ე უ რ ნ ა ლ ი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანო!...

ა. დ.

№ VI

წ ე ღ ი წ ა დ ი მ ე ს ა მ ე



ტ ვ ი ლ ი ს ი

სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა ☒ Типография Груз. Издат. Товарищества
1892

0120

Дозволено цензурою Тифлисъ, 15 Ноябрья 1892 года.

ზ ა წ ი ა



ა ეოფაშია, შესედეთ,
სულსე უტკებესი ზაწია:
ფესი აიდგა და ამით
რბ განხარებას ეწია!

კოჭითი-კოჭა ტრიალებს...
დადგეს... შეხერდეს... წესია?!
მის გულში უფალს სიცოცხლე
უსომოდ ჩაუოესია.

ჩირად არ უღირს წაქცევა,
შედგომა თავდა-ყირასა,
მარდადეგე წამოფრინდება,
ღიმი გადაეკლის ჰირასა...

ვერ ნახავთ მოსვენებითა
თუნდაც მცირედი წამია;
ფუსფუსებს მოუღალავად
ჩემი და თქვენი მამია.

სან გაიხარებს, გაიბრებს,
სან ჩამოჯდება უცება,

1990

სამართლებლო
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამართლებლო
ბიბლიოთეკა

ხან სადღაც მიეფარება,
 ვითომ და გაიბუტება.

—

სოკჯერ გაებმის კაბაში,
 დედის თითს დაეკიდება;
 ხელებს გაუშვებს... კანკასით
 ხან უკან გაეკიდება...


—

წამსე მოივლის კუნჭულებს,
 ძაღ-ძაღ მოუკვლევს თაროსა:
 იხარეთ, როგორც ჯამბუკოვნი
 ამან ძირს გადმოყაროს!...

—


ამ ამბავშია... თან დაჭსდევს
 კუდ-აბსეკილი კატუნა,
 არ მოჭმორდება ჰაწიას,
 თუ არ ვინ გაუწკაპუნა...

ზეზვა.



პატარა დიაკონი

(ვეძღვნი ჩემს შვილს სოსიკოს)



ელისბედ, სოსიკო გააღვიძე! უთხარე მამა ლოცვად ღვება-თქო. ასე ეუბნებოდა ერთ დილას მამა დავითი თავის ძეუღლეს, ელისბედს.

— სოსიკო კარგა ხანია ადგა. გაჩნდეს, თავს ივარცხნის. ვენაცვალე იმას, წირვა-ლოცვა რავე გამოეზარება,—ძიუგო ელისბედმა

— მართლა რომ, თუ დმერთმა დაცალა, ღვთის ნიერი ბავშვი იქნება, მამაო, ეს თქვენი სოსიკო!—წა-

მოიღაპარებოდა ივანე დიაკონმა, რომელსაც ერთ ხელში დავითნი ეკავა და მეორეში წმინდა სანთელი.

— ივანე, რა ჭქენი, დარეკე? ესოში გაიხედე, ხომ არავინ მოსულა?

— დავრეკავ ბატონო, მაგრამ რა საჭიროა, მთელი ესო სავსეა ხალხით. შეძრეკ მოჭკიდა ხელი გრძელ ტარნიან იმერულ დანას და დაუწყო ცემა პატარა ხარს, რომელიც მამა დავითის სახლის ბივანში ეკიდა.

* * *

მამა დავითი სოფელ ღარიბეთის ძველი იყო. ღარიბეთი ზემო იმერეთის ერთი სოფელთაგანი განკლდათ. ამ სოფელს უწინდელ დროში თამარ ძევის აშენე-

ბული ეკლესია ჰქონებია. როგორც ეველგან საქართვე-
 ლოში, ისე ღარიბეთშიაც ეს ეკლესია ისეთ ადგილას
 აუკიათ, რომ მტერს ვერსადგან ვერ მიესვლებოდა. უწინ
 იმისი მრევლიც თურმე იქვე სახლობდა. დღეს ხალხი
 გაძრავლდა, მთაში ყოფნა ითაკილბ და ბარათ ჩამოვიდა.
 ეკლესია კი ძველსავე ადგილას დარჩა. ხალხი და ეკლე-
 სია სამოთხ ვერსის მანძილსედ არის დაშორებული და
 ეს განსლდათ მიხეხი, რომ ძამა დავითი ცინკარს და მწუსრ-
 საც ხშირად ოჯახშივე ლოცულობდა.

მართლა სასიამოვნო შესახედავი იყო, როდესაც აივან-
 ზედ თეთრ წვერებიანი ძამა დავითი ლოცულობდა და გვერდ-
 ში ზატარა სოსიკო გალობას ეუბნებოდა. იქვე ესოში მუსლ-
 მოდრეკილ ხალხის ბრბო იდგა და თავის მოძღვართან ერთად
 ევედრებოდენ უფალს.

თვითეული ხმა სოსიკოსი, თვითეული მისი «უფალო
 შეკვიწვალე და მოგვამდლე უფალო» სიამოვნებას გამო-
 იწვევდა მთელ იქ მდგომ მლოცველ გლეხებსედ. თვითეუ-
 ლი მათგანი საიდუმლოდ მუსაიფობდენ სოსიკოს მოძვალ
 ცხოვრებასედ. ლოცვის შემდეგ ხომ სულ სოსიკოსედ იყო
 ლაზარაკი და მსჯელობა.

— ძამაო დავით! ღმერთმა გაგიხარდოს ეკ თქვენი ზა-
 ტარა დიაკონი! ღმერთო, როდის იქნება, რომ ზატარა
 სოსიკო თქვენსავით მღვდლად გვეყოლება, — უთხრა დავითს
 ერთმა მოხუცებულმა გლეხმა.

— არა, მღვდელო! სად ასწავლე ეს გალობა ასე ზა-
 ტარა ბავშვს, ან ასე ადრე როგორ დგება ეს გასახრდელი?!
 ჩემი სულის ცხოვნებამ, უცნაური რამ იქნება ეს ბავშვი, თორემ
 მოიკონებთ ჩემს სიტყვებს; მიუბრუნდა და უთხრა ხალხს
 მეორე გლეხმა.

— ვმადლობთ, ჩვენ სწავლავს წმ. გიორგის! ალარ გაგვხად სხვის სათხოვნელად. მოგვცა მოძავალი მოძღვარი. სოსიკო, რომ ძამის ხელობას დანდგება—ეს ცხადია, თქვა ვიღაცამ კრებაში. — ბიჭო, სასუძრო საქმე არ არი სხვა გვარის ძღვდელი სოფელში? მოსულ ძღვდელს, სულ სხვა მოვლა უნდა: იმას სახლი არ ექნება, კარი, მიწა-წყალი, საქონელი და აზაფერი. ესენი ყველაფერი ჩვენ დაგვაწვება კისერზედ, — განაგრძო იმავე კლესმა.

— ძართალია, ძმაო, ძართალი. ღმერთმა დიდი დღე მისცეს ჩვენს მოძღვარს და დღეს რომ რამე გაუჭირდეს, მაგ ადგილს იმის შვილს ვინ დაუჭერს?! სოსიკოს სურვილი აქვს როგორც ეტეობა და ძღვდლადც გამოგვიზრდის ძამა მისი.— დაუმტა კიდევ სხვამ.

* * *

სოსიკო ერთად ერთი შვილი იყო ძამა დავითისა. ის სულ რვა-ცხრე წლისა თუ იქნებოდა. ძამა დავითი აკეროცი წელიწადია რაც ძღვდლად იყო; შვილები თუძცა ჭყავდა სოსიკოს კარდა, მაგრამ არც ერთი არ შერჩენია. ზოგი სახადმა მოუკლა, ზოგი სურვებით დაეხოცა. სოსიკო უკანასკნელი ვაჟი იყო. სოფელში ურჩიეს, რომ ახალი დაბადებული ბავშვი დედას არ უნდა დანახვოთ, დაბადების დღესვე ძიძას უნდა მიაბაროთ, ის ძამინ უსათუოდ გაიზრდება.

ძამა დავითს, თუძცა ეს ცრუ-ძორწმუნობათ მიანდა, მაგრამ ანდახის არ იყოს—გაჭირვებული კაცი ხავსს ეკიდებოდნო—დაუჯერა და სოსიკო დაბადების დღესვე დედის უნახავად ძიძას მიაბარეს. წელიწადზე მეტი ძიძასთან იყო. ძართლაც ემაწვილი ჩიტვიით ისრდება, როგორც

იტყვიან სოლმე ჩვენში. წლისა და ნახევრის რომ შესრულდა სოსიკო, ძიძას მოაშორეს და დედა ძისძა მიიჩვია.

სოსიკო შესედულობითაც ძარტლა რომ სამღვდელი კაცია იქნებოდა. იმისი ჭკუით სავსე, შავი ბრიალა თვალები, გამომეტყველი სასე, ბრტყელი, თეთრი შუბლი და ნამდვილი ვაჟკაცური ტანადობა დაგარწმუნებდათ, რომ სოსიკო თავის მოწოდებით საზოგადო მოღვაწე უნდა ყოფილიყო.

* * *

სოფელ ღარბბეთს მთა-გორიანი მდებარეობა ჰქონდა. მცხოვრებლებიც ღარბბები იყვნენ: სულ ასოცი კომლი თუ იქნებოდა ამ სოფლის მკვიდრი მცხოვრები. მათ შორის აწნაური სულ სუთი-ექვსი მოსახლე იყო, დანარჩენი კლესები იყვნენ და თითქმის ერთი გვარისა.

«ჩვენ გვარში ორი სანძი მღვდელი ყოველთვის ყოფილა». იტყოდნენ სოლმე მოხუცებული კლესები.

დავითს რომ შვილი არ გასჩენოდა ღარბბეთლები ძრიელ დარდში იქნებოდნენ, მაგრამ დღეს მოძავალ მღვდელს თვალთ ჰხედავდნენ. ძაძა დავითი სოფელში ისე არ წავიდოდა, რომ სოსიკოც თან არ წაეყვანა. სოსიკომ წვრილ-წვრილი ლოცვები შეპირბად იცოდა და სადილადა დაჯდებოდნენ თუ არა «ძაძაო ჩვენოს» ვინ მოასწრებდა. რამდენჯერ გაუღვიძებიათ დაღლილ-დაქანცული ჰატარა სოსიკო და ლოცვები უთქმევინებიათ ნავასშბევს; მაგრამ ამას სოსიკო დიდის სინაზრულით ასრულებდა. არც სინაზრმაცე, არც ეძაწვილური წუწკუნები—ტირილი საქმის კეთების დროს, სოსიკოსაგან არ შეიძლებოდა.

ერთ დღეს ძაძა დავითს კლესმა წირვა (საღვთო) შეუკვეთა. საღამოსვე მოართვა ერთი ნაჭერი თაფლის სანთელი გა-

ზ ა ტ ა რ ნ დ ი ა კ ო ნ ი

რძემკობსეუელი გრძელი სანთლის გულით, ერთი ჯამი ფქვი-
ლი სასეფისკერედ და ზატარნ ხელ-დოქით წითელი ღვინო
სასედაძედ. ამასთან მოწიწებით სთხოვა მამა დავითს:
«გთხოვთ მამაო, ხვალ მიწიროთ, ოჯახში მობრძანდეთ და
ზატარნ დიაკონიც არ დაგავიწყდეთ» (ზატარნ დიაკონს სო-
სიკოს ეძახდენ სოფელში).

გლეხების ჩვეულება სოსიკოს ეველათფერი მოსწონდა,
მაგრამ ამ წირვებზედ ჩვეულებრივ დალოცვისა კი არა სწამ-
და-რბ. მიხეხიცე ჭქინდა ამასედა.

ერთხელ, როდესაც ამ გვარსავე წირვის შემდეგ წაჭყვა მამას
სადილად გოგია გლეხისას, სადილს შემდეგ ძრეელ შერცხეუ-
ნილი მოვიდა. იმ სადამოსვე მიუარდა დედას და უთხრა:

- დედა, მე მამას საწირავზე აღარ წავეყები!
- რატომ შვილო? განცვიფრებით ჭკითხა დედამ.
- რატომ და ის რაღაც ჩამოსალოცავი რომ იციან,

ის ვერ გავიმეორე.

— მერე რა გიჭირს შვილო! სიცლით უთხრა დედამ.
გაიხრდები და უკეთესად გეცოდინება; ჯერ შენთვის ეპოც
ბეგრია, რაც იცი.

— როცა ლოცვა დავიწეე ეველამ ამიგდეს სასაცლილად
და ჩემს დღეში აწი წირვის სადილში არ წავეყები მა-
მას.—სთქვა სოსიკომ და გაბუტული გავიდა აივანსედა.

სმერეთში ეოველმა გლეხმა იცის შემოდგომასედა წირ-
ვის გადახდა (სამღვრთოისა). ამ დროს ძღვდეღეს აწირ-
ვინებს და ძწირველ ძღვდეღეს სხვა სტუმრებთან ერთად
ოჯახში მიიწვევს და სადილად თავს დაალოცვინებს. აიღებს
ძღვდეღელი ღვინით სახსე ჭიქას, მეორე ხელით მოკიდებულს
სანთელს და დალოცავს მასწინძელს:

„დიდება ღმერთსა, დამზადებელო ღმერთო! შეაწიე და მონაშარე გლესს გოგია ღარიბაშვილს ჩემი დღევანდელი წირვალლოცვის მადლი, რომელიცა შემოგპირებია და გვედრება თუ შენი წყალობით სული ეღვმის და მშვიდობიანობას მიანიჭებ იმისს ოჯახს, შვილს და ნამუშაევარს ყოველს მესამა-მესამე წელიწადს მღვდელი შეგიმოსოს, მსხვერპლი შემოგწიროს და შენი სახელი აქოს და აღიღოს.“

მიირთმევს მღვდელი ღვინოს და შემდეგ თავის დიაკონს კარდანაცემს, რომელმაც ასეთივე სიტყვებით და წესით უნდა დალოცოს მასწინძელი. დიაკონს შემდეგ დანარჩენი სტუმრები მიიღებენ ჭიქით ღვინოს ამ გვარსავე ღლოცვით. მათ შორის, რასაკვირველია, ბევრი ვერ მოახერხებს, მაგრამ ორიოდე სიტყვით მანც დალოცავენ: «როგორც მამა დავითმა დაგლოცათ, ღმერთმა ისე დაგლოცოსთო.»

ერთ ამ გვარ დალოცვის დროს, როდესაც ჯერ სო სიკოსედ მივიდა ეს სიტყვები ველარ გაიმეორა და ეველამ სიცილის კიჟინი დააუარა. ეს სიცილი სოსიკომ შეურაცხყოფათ მიიღო და მას აქეთ ნათვლამი და სახლის საკურთხავად თუ წაჭყებოდა მამას, თორემ საწირავად წასვლას ვერ ეტყოდით.

დალოცვის გამო, ამ გვარ წირვებში სიარული სომ მიატოვან, მაგრამ არც მეორე გვარი წირვან მოსწონდა სოსიკოს, რომელსაც «სანურშაო» წირვანს ეძახდენ. ამ გვარი წირვან მთელ სოფელ ღარიბეთში სუთმა მოსახლემ თუ იცოდან, თორემ არც სხვებს მოსწონდათ. ამ წირვიდან მღვდელი და დიაკონი ვერაფერს ვერ წაიღებდენ შინ. სოსიკო ამ გვარ წირვანს მითი მისვდებოდა სოლდე, რომ მამა ჩვეულებრივად არ ეტყოდან: — «სოსიკო, სურჯინი არ დაგასვიწყდესო.»

რადგან მამას სურჯინი არ მიაქვს სწორედ «საპურ-შავო» წირვაზედ მიდისო და იქ წასვლა სოსიკოს ბევრად არც კი უნაროდან. დარწმუნებული იყო, რომ იქიდგან ნასუქ-პურებს, უველით სავსე საჭანურებს და ტაბლებს ვერ წა-მოიღებდა, როგორც სხვაგან იყო დაჩვეული.

* * *

მამა დავითს ისე ჭყავდა აღზდილი თავისი შვილი, რომ სოკიერთები კიდევაც ესაუვედურებოდნენ.

— მამაო დავით, მართალია კარგი ემაწვილია ეკ თქვენი სოსიკო, მაგრამ ასე ბავშვის განზრდა როგორ შეიძლება, რომ ერთი არ განსწერომისარო და არც გაგილანხავსთ?!

— მართალია შვილო, მე ჩემს სოსიკოს არ გავწერო-მივარ და არც გაძილანხავს, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ძეცოდება, ძებრალება რომ მის ძეტი არაფერი გამაჩნია-რა. გალანხავ და დამცირება, შვილო, ადამიანისა მაშინ უნდა, როცა ის ამის ღირსია, როდესაც ამ სანჯელს დაიმსა-სურებს, — მიუკებდა ხოლმე მამა დავითი. — სოსო ჯერ ემა-წვილია. იმისი გონება და წარმატება ცხოვრებაში ჩემ-ზედ არის დამოკიდებული, როგორ გზასედაც დავაყენებ, იმისთანას დაადგება. ნუ თუ ერთხელ მანც არ გაგიგო-ნიათ, შვილებო, ჩემგან წაკითხული საღმრთო წერილის სიტყვები, სადაც ბრძანებს მოციქული ჰავლე «მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქვენთა, არამედ განზრდენით ივინი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისათა». (ჰავ. ეფეს. თ. 6, 4). — ნუ თუ მარტო წერომით გაკეთდება საქმე?! — ამ კვარ მამაშვილურ ტკბილ საუბრით სძირად ასიამოვნებდა მამა დავითი თავის სამწესოს. სოსიკოს სომ მოსვენება

არ ქონდა მამისაგან. ისე საქმეს არ მიაყენებდა, რომ ჰირჯვარი არ გამოესახა და ღმერთი არ ედიდებია.

— უფალი ღმერთი უნდა გიყვარდეს, შვილო, ჰატო-
 ოსნებასა და სიძაბოთლეს მისდევდე. შრომა და ღვაწლი
 ლუგმა-ჰურისათვის თვითონ მეუფე ღმერთს დაუწესებია
 ჩვენთვის: «შრომითა შენითა სჭამდე ჰურსა შენსა», ბრძა-
 ნა მეუფემ. უნდა გიყვარდეს და ჰატოვსცემდე მშობლებს,
 ნათესავებს, უფროსებს და ყოველს ნამდვილ ქრისტიანებ-
 სო — ეუბნებოდა ხოლმე მამა დავითი თავის შვილს. — ძვედე-
 ლი, სადაც შეგხვდეს, ქუდი მოუსადე, თავი დაუკარი და
 თუ დრო და ადგილი იქნეს, ხელსედე ემთხვეე და ლო-
 ცვა-კურთხევა მიიღეო. ეკლესიაში სიარული და ღვთის
 მსახურება კაცს ახალისებს და აზატოვსო. ვისაც წნეო-
 ბა არ უვარგა, იმისი სწავლა-განათლებაც ფუჭი და უსარ-
 გებლოაო. ვინც მშობლების და უფროსების ურჩნი არიან,
 ისინი ცხოვრებაშიაც უბედურნი და სრულებით უიღბლო-
 ნი იქმნებიანო, საღმრთო წერილიც ტყუილად არ გვი-
 ბრძანებს შვილო, რომ «შვილნი შორილნი იყვნით მამა-
 დედათა თქვენთა უფლისა მიერ; რაბეთუ ესე არს სამარ-
 თალ». (ზავ. ეფეს. თ. 6, 1). ამ გვარი დარტიგება სოსიკოს-
 თვის იშუიანთი არ იყო. სოსიკოც იღვა ხშირად მამის წინ
 და გულს მოდგინედ ისმენდა მამის დარტიგებას.

ადღეობის დღესასწაულებში სოფელ ღარბეთში ჩვე-
 ულობა იყო, რომ ძვედელს უნდა ჩამოეყო და თვითვეუ-
 ლი კლესის ოჯახნი მოესხურებია ნაკურთხი წყლით.

სოსიკო ამ დროს ხურგსედ ხურჯინ გადაკიდებული
 და კალათით ხელში არ შორდებოდა თავის მამას. როდე-
 საც კლესები საჩუქრად თითო-ორთლ წითელ კვერცხს გა-

მოუტანდენ მამა დაპითს და წმინდა აღდგომას მიულოცავდენ, სოსიკო ხელში ეტაკებოდა, კვერცხებს გამოართმევდა, ჯერ კბილებსედ მიიკაკუნებდა, ამოაწივდა უფრო მაგარ კვერცხებს და დანაწიენს კალთაში უკუაგდებდა. მეორე დღეს სოსიკოს სოფელ დარბეთში მისი ტოლი გლეხის ბიჭები ეველანი ერიდებოდენ კვერცხის დაკერას.

— ვალიკო, არ დაუკრა მაგას კვერცხი! გუშინ მამასთან მთელი სოფელი შემოიარა და კვერცხებს ვერ ამოაწივდა?! ეუბნებოდა ვალიკოს იმისივე ტოლი გლეხის ბიჭი.

— აჰ, კაცო, მაგას თურმე ბატის ნამღევა*) ჭქენებია და რაუბ დაუკრაუ. სანდრომ მითხრა, რომ გუშინ სოსიკოს კვერცხმა სამოცი მეტი გასტეხაო. წამოილანაზარაკა თედომ.

— არა, ღმერთმანი, სულ უბრალო ქათმის კვერცხია. გუშინ ბებიაძე მიძველია. აჰ, ბიძია, ნახე ორივე და გვითხარე, რომელი გატეხავს,—უთხრა სოსიკომ ერთ გლეხს და ორი წითელი კვერცხი მისცა ხელში. გლეხმა ჯერ სოსიკოს კვერცხი მიიკაკუნა კბილსედ და «ჰო, კარგი მაგარი კვერცხიაო» სთქვა. მერე მეორე გაშინჯა და სმა გაკმინდა. მხოლოდ დაურიგა კვერცხები და უთხრა: «ორივე უბრალო ქათმის კვერცხებია, დაჰკარით, დაჰკარითო».

— არა, ბიძია, ჯერ გვითხარე რომელი გატეხს! უთხრეს ბავშვებმა.

— აჰ, რომ გითხრათ, მაშინ ხომ აღარ დაჰკრავთ. ისა სჯობია ისე დაჰკრათ, თითქო არა იცით—რა, სთქვა ეს და ცალი თვალით ანიშნა სოსიკოს, რომ დაეკრა, გამარჯვება მისკენ იქნებოდა.

*) ნამღევას ეძახიან სულ უკანასკნელად რომ კვერცხს დასდებს ბატი. ეს პატარაც არის და ძლიერ მაგარიცა.

სოსიკო გამხსნევებული მოძავალი გამარჯვებით მივიდა და თედოს ხელში დაკავებულ კვერცხს თავში ჩაკაკუნებით ამოუჩქებდა თავი. ერთი შენტა, სინარულით გადიკისკისა და «დედალი სხვას დაგიდებსო» დაცინვით დააყოლა.

— ეჭ, სომ გითსარით, ბიჭო, მაგის კვერცხს აქ კვერცხი ვერ გატეხავს მეოქი, უთხრეს თედოს მისმა ამხანაგებმა.

— ეს მეც ვიცოდი, მაგრამ ეს ბიძიას ბრალია. დაუკარი, დაუკარიო და მეც დაუკარი. აწი ჩემს დღეში მაგას კვერცხს აღარ დაუკრავ. თითქმის თვალ-ცრემლიანი ამბობდა თედო. ეგება, კაცო, დაკირული იყო მაგის კვერცხი?! გამძართვას სოსიკოს კვერცხი და სინჯავა დაუწყო. ბევრი ათვლიერბ, ატრიალა, მაგრამ დარწმუნდა რომ უბრალო კვერცხი იყო, მხოლოდ ძალიან გამომდგარი. გულში კი გაივლო, «ნეტაი ჩემი იყოს, რა გამომდგარია ეს ოხერი კვერცხიო».

— თედო, რა ძალიან ათვლიერებ მაგ კვერცხს! თუ გინდა მოგცემ სულ, — უთხრა სოსიკომ.

— ძართლა თუ?! თუ ძართლა მომცემ, სამ თეთრ კვერცხს მოგცემ, შინ როგორც მივალ.

— ძართლა მოგცემ. მე შენი არაფერი არ მინდა. თეთრი კვერცხები მეც ბევრი მაქვს სახლში. მამამ გუშინ სოფლიდან სამას კვერცხამდის მეტი მოიტანა.

— უჭ, ჩემო სოსიკო, ჩემო ძამია?! ეტაკ თედო, გადაკონა და აღტაცებულის სახით გამძართვას ეს ნანატრი გამომდგარი კვერცხი.

სოსიკო ეგულა დირსებასთან გულკეთილობითაც დიდად დაჯილდოვებული იყო ღვთისაგან. დატეხილ კვერ-

ცხებს თავის დღეში არ გამოარტყედა და თუ გამოარტყედა უსათუოდ ღარიბ კლეხის შვილებს მისცემდა და თან ეტყოდა: «ჭა, წაიღე გატყეხილი კვერცხი, მე რად მინდა, მე მთელბიცი ბევრი მქვსო.»

* * *

სოფელ ღარიბეთი საგუბერნიო ქალაქსედ დაშორებული იყო ორმოცის ვერსით. სასულიერო სასწავლებელი მშენ იქ იყო. სოსიკო ასაკში მოდიოდა. იმ დროს, რომელსაც ეს ჩვენი მოთხრობა ეკუთვნის, წლოვანებას არ აქცევენ ეურადლებას. თუმც სოსიკო თერთმეტ-თორმეტის წლისა განლდათ, მაგრამ მისვლისათნავე ჩარიცხეს ქ-ის სასულიერო სასწავლებლის შეკირდად.

სასწავლებელში სოსიკო თავის ყოფა-ქცევით და სწავლაში ნიჭის გამოჩენით თითოთ საჩვენებელი შეკირდი იყო, ყოველ მანათ-კვირეს სოსიკო წირვა-ლოცვაზე დადიოდა. როდესაც სხვები, იმისი ამხანაგები ხშირად დაინჯებოდნენ ეკლესიაში წასვლადობისათვის, სოსიკო დიდის სიამოვნებით ძღვდელსაც ესმარებოდა წირვის დროს. სოფელში დაბრუნების დროს ოჯახში მამა ერთ საათსაც არ გაახერებდა უსაქმოდ.

— შვილო, ტყუილად უბრალოთ დრო არასოდეს არ უნდა დაჰკარგო. დრო ისეთი ძვირფასია ადამიანისათვის, რომ თვითვეული საათით ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია კაცს, თუ მოიხმარს; შრომა და მოძრაობა ახალისებს ადამიანს, ავარჯიშებს მის სხეულის ნაწილებს და ქონებრივ სარგებლობასთან ტანმრთელობითაც სარგებლობს. უსაქმოება არის, შვილო, ყოველ კვარი ბოროტების წყარო. უსაქმო ადამიანი, გარდა სიბოროტისა არაფერს არ ფი-

ქრობს. სთქვა ერთმა მეცნიერმა.—ეუბნებოდა სოლმე მამა დავითი თავის სოსიკოს, როცა კი თავისუფალ დროს იშოვნოდა.

მამა დავითი ამ სიტყვებს თავის ცხოვრების მაგალითით უჩვენებდა. ერთ დღესაც ვერ ნახავდით მამა დავითს რომ მოსვენებული ეოფილიყო.

— მამაო, სულ მუდამ შრომა, მუდამ საქმიანობა განა შეიძლება? იტყოდენ სოლმე მამა დავითს გლეხები.

— ასე უნდა, შვილებო, ცოცხალი ადამიანი შრომისათვის არის დაბადებული. უსაქმო კაცი მიწაში ჩასაგდება. მიუგებდა სოლმე დავითი.

წამდენად მამა დავითისათვის იყო საჭირო ამ გვარნი ჰატიოსანი შრომა და ცხოვრება, იმდენად ღრმა კვალს აჩენდა მისი მაგალითი სოსიკოს ნორჩ გულში. სოფელ დარბეთში სშირად გაიგონებდით ამ გვარ მსჯელობას სოსიკოსედ:

— ბიჭო, ჯერ მამა ნახე და მერე მისი შვილი რა იქნებაო, ჩემი სულის ცხოვნებამ გამოხასული მამა დავითი დადგება თორემ აი, ნახავთ!? იტყოდენსოლმე გლეხებში.

* * *

გადიოდა დრო. სოსიკომ სასულიერო სასწავლებელი შეასრულა. სემინარიაც საუკეთესო შეგირდად განათავა. ახალდებიანში ემხადებოდა წასვლას, რომ დედამ კინაღამ თავი მოიკლა, როდესაც მისი რუსეთში წასვლა გაიგო.

— უი, ღმერთო მოძკალი!? იმასოდა მამა დავითის ცოლი. ჩემი სოსიკო ამოდენა მოძასწრო ღმერთმა და რუსეთში გაუუშვებ?! არა შვილო, არა შენ გენაცვალოს დედა

შენი, ამას ტყუილად ნუ ჰფიქრობ. ეუბნებოდა დედა თავის სოსიკოს.

— რა ვქნა შვილო, ხომ ჰხედავ, რომ მეც დავუძღურდი. ჩემი იმედი შენ ხარ. მთელი ღარბიბეთის მცხოვრებნი, შენი მოკვარენი, შენ შემოგჩერებიან. მეც თანახმა ვარ, შვილო, დედი შენის აზრისა. რუსეთში ვერ გავიშვებ, უთხრა ძამა დავითმა ერთ საღამოს თავის სემინარიან დასრულებულს ახალგაზრდა სოსიკოს.

სოსიკო ორ ცეცხლ შუა იყო. მშობლების უნებურად რომ მოენდობებინა, მანაც ვერას მოახერხებდა. მეორე მხრით უძაღლეს სასწავლებელში წასვლაც სწეუროდა. ბევრი იფიქრა, ახომ-დაახომა თავისი მდგომარეობა და ბოლოს გადასწყვიტა დაჩხენა, იმ აზრით, რომ სემინარიის განათლებითაც, თუ ისურვებს შეუძლია დაესძაროს თავის მოძმეს.

19900
ზირველ ხანებში სოსიკო სამოქალაქო სამსახურში შევიდა, სამსახურში წარმატება დღითი დღე ეძლეოდა; მაგრამ მისი მოწოდებამ ზატარაობიდანვე მიღებულმა შთაბეჭდილებამ და აღწერდამ მანაც თავისი გაიტანა. ეს დაღლილ დაქანცული ადამიანი კანცელარიაში რვა საათიღვან ნაშუადღევის ოთხ საათამდის მშრომელი წირვა-ლოცვას და ეკლესიაში სიარულს მანაც არაფერს არ ამჯობინებდა. რაც უნდა დაღლილი ყოფილიყო კვირას ცისკარსედ მისვლას მანაც ვერაზინ მიასწრებდა. ზარის ხმა მისთვის მთელი მატინაჲ იყო, რომელიც თვალ წინ გადუძლიდა მთელ მის სიემაწვილეს. როდესაც სხვები, მისი ტოლნი ჩინოვნიკები დასუთულ ოთახებში იწვენ და ეძინათ, სოსიკო მაშინ სრულებით დაკმაყოფილებული სულიერ მოთხოვნილებით, მიდიოდა ეკლესიიდან შინ თავის ცოლ-

სამარტვილოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

2
სამარტვილოს
ბიბლიოთეკა

შეილში. სოფელ ღარბიეთში ერთ ღროს რაღაც მოარული სენი მოედო მთელ სოფელს. მამა დავითი იყო ამ ღროს სულიერი მამაც და ექიმიც მათი. ეოველ ოჯახში შედიოდა ეს მოხუცი მოძღვარი და ღარიგებანთან წამლებსაც აძლევდა.

ერთ ამგვარ ოჯახიდან ეს სენი მამა დავითსაც გადაეღო. მთელი სოფელი მრევლის შეწუხებული იყო მამა დავითის ავადმყოფობით, მაგრამ განგებამ მათი მწუსარება ვედრება არ შეიწინარა და ერთ დღეს სოფელი ღარბიეთი უძღვდლოდ დარჩა. გარდაიცვალა ამათი სავანრელი მოძღვარი სულიერი მამა დავითი.

ჯერ განვენების დღესვე და შემდეგ კიდევ რამდენჯერმე სთხოვეს სოფელ ღარბიეთლებმა, რომ სოსიკოს გაეწია მათთვის «მამა დავითობა». — «ნუ გაგვხდი სხვის სახვეწნელად, ნუ დაგვაობლებო», ეუბნებოდენ გლეხები სოსიკოს.

სოსიკოს ამის თქმაც არ ეჭირვებოდა. ადგილობრივს არქიელს თხოვნა მისცა მღვდლად კურთხევისა. დიდხანს არ გაუვლია, რომ გუშინდელი ზატარა დიაკონის და დღეს მამა იოსების საბაკი, ოჯახის ავეჯეულობა, მიჭქონდათ სოფელ ღარბიეთის გლეხებს ურძით და დიდის აღტაცებით ეგებებოდენ თავის გვარის მღვდელს.

დღეს სოფელ ღარბიეთს თავისი მეგვარის მღვდელი ჭყავს და სრულებით ბედნიერნიც არიან ახალგაზდა განათლებულ მღვდლითა.





არწივი და ყვავი

წრინვლების მეფე არწივი,
მედიდურ სახით მცქერალი,
ქეიფზედ იყო, ინდომა
საუკეთესო მღერალი.

მეფეს შიკრიკად თავისთან
ყორანი ახლდა ხმოსანი,
უბრძანა ქვეშევრდომთ შორის
ენახა ვინმე მგოსანი.

„აქ მომიყვანე ვინც იყვეს
ნაქები მგალობელიო
და, თუ მამებს, იმისი
ვიქნები მწყალობელიო“.

მძიმეთ, ბაჯბაჯით წავიდა
არწივის გზირი ყვაჩალა;
მახლობლად ხეზედ შემოჯდა,
თავის ბოხის ხმით დასჩხავლა.

აქ ფიქრს და რჩევას შეუდგა:
 „ვინ წარეუდგინო მასაო?
 ბუღბუღს აქებენ, მაგრამა
 არ მოუწონებს ხმასაო!

„სუსტად და ნაზად წრიბინებს,
 დაკენესის როცა მღერისო;
 ტანად ხომ ღმერთს არ უქნია;
 რა მოსაწონი არისო!

„მაშუნას არა უჭირს-რა,
 ღმერთს მიუცია ხმა მსხვილი;
 მაგრამ უმსგავსად რახრახებს,
 როგორც მოშლილი წისქვილი!

„სხვა ჩიტუნებზე რალა ვსთქვა:
 ეს ტორუაო... ნიბლუა?...
 ვის ეკადრება, გენაცვათ,
 ყველა უენო და ბლუა!

„ჩემს ბარტყებს, ვიცი, ვერავინ
 ვერ დაუწუნებს გალობას;
 მოდი და იმათ ვამღერებ,
 მეფე გვიბოძებს წყალობას!“

სთქვა და წაასხა მეფესთან
 მომღერლად წყვილი ბახალა;
 გამწკრივდენ ტოტზე რიგ-რიგად,
 შუაში ჩაჯდა ყვაჩალა.

მორთეს ბლარტებმა ორპირად
 ზედ მეფის ყურთან ღრიალი:
 ყელ-გულს იხევენ, ჩხავიან,
 გააქვს კლდეს და ღრეს ზრიალი!

ბრწვიკი და უკავი

მეფემ უცადა თავის გზირს
და ჩაეძინა ლოდინში....
ენახოთ... მოესმა უცრად
რალაც ღველავი ლოგინში!

აქეთ თუ იქით ბლარტები
თავს იხეთქავენ, წვალობენ,
ქებას, საბოძვარს ელიან,
რომ ასე ტკბილად გალობენ!

ბებერი ყვავიც ალერსით
ხის ტოტზედ დინჯად ყვანყვალებს,
კმაყოფილების ნიშნად თავს
უქნევს, ამხნევებს ბახალებს.

რამ წამს მომღერალთ დასჩხაველს
თავანთი ლექსი მარტივი,
თავს ზარი დასცეს მძინარეს
და დააფეთეს არწივი!

— რა ამბავია, რა ყოფა,
ყროყინი ისმის ვირისო?!
თუ აღამიანს ახზობენ
და „ვაი“ უი“-ს ჰყვირისო?

„მაშ ეს ღველავი რას ნიშნავს,
თითქო ბუკს უკვრენ, საყვირისო?!
ჩაფარო! ჩემ შეწუხებას
ვინ ჰბედავს, დიდად მიკვირისო?!“

— მგოსნები გახლავთ, ხელმწიფეც,
ნუ განრისხდებით ტყვილადო.
ჩემი ვაჟები გაახელ
და შეგაქცევენ ტკბილადო.

„ამათზე კარგი,—არ მრისხავს
 მე თქვენი დიდებულება,—
 თქვენ ფრინველთ საბძანებელში
 არავინ არ მეგულება!“

— ხმა ჩაიწყვიტონ! როგორ თუ?...
 შენცა და მაგ შენს შეილებსა
 მაგ უზრდელური ქცევისთვის
 გაგაყრევინებთ სულელებსა!

„ბრიყვო! თუ კი რომ ღირსი ხარ,
 ქება ჩვენ უნდა გითხრათო“!
 თორემ ანდაზა ამბობს, რომ
 „თავის ქება ღირს კიტრათო“!

„მაგ ტკბილი ხმებით გაართეთ
 ისევ თქვენი ძმა ყვავები,
 და დიდ წყალობად ჩასთვალეთ,
 რომ არ წაგგლიჯეთ თავები

თეოფ. კანდელაკი.



თამროს შეხვედრა

(ამბავი ხოლერის დროიდან)



ოფელ ნიგეზიანში ხოლერა გაჩნდა; ორ-სამ დღეში ოცამდე კაცი გადაიცვალა, ხოლერა არ ზოგავდა არც დიდს და არც პატარას, უფრო კი ღარიბლბატაკ გლეხ-კაცობას ავლებდა მუსრს. ჭუჭყიანი ტანისამოსი, უსუფთაო სახლ-კარი, უვარგისი საჭმელი, დაგლეჯილი საგებ-სახურავი საუკეთესო ნიადაგი იყო ხოლერის თესლის გასაძლიერებლად. ყველა ამ ნაკლებულობის შესწორება გლეხ-კაცს სად შეეძლო და ის მხოლოდ უადვილეს საშუალებას მოეჭიდა — გადასახლდა ხოლერით მოწამლულ არე-მარედგან; ვისაც საქონელი ჰყავდა და შეძლება მოსდევდა შორეული მთა-მალლობი მონახა, ვისაც არა, ის თავის ბალ-ვენახში გადასახლდა. ნიგეზიანის ვენახები გაივსო ხალხით. ქვითკირის საწნახლები ოდნავ წალმით დანხურული ვერაფერი თავშესაფარი იყო წერილ-შვილიანი ოჯახისთვის, მაგრამ მეტი რა გზა იყო, ზოგს ესეც არა ჰქონდა და ფოთლებით წამოფარებულ ქოხში შეაფარეს თავისი ცოლ-შვილი.

ხალხი ისე დაფთხა და ისე მიეჩქარებოდა სოფლიდგან გაქცევას, რომ ბევრს პური, ღვინო და სხვა სანოვავეც კი ავიწყდებოდა და ვისაც სანოვავე მიჰქონდა, ქვაბი და სხვა საჭირო ჭურჭელი შინ რჩებოდა, ამიტომ გახიზნულები ხშირად ბრუნდებოდნენ სოფლად სხვა-და-სხვა საჭიროებისთვის და იქიდგან ვენახებშიც გადაჰქონდათ საშინელი სენი.

გადასახლდა, რასაკვირველია, ნიგეზიანელი თავად აზნაურობაც; ამათ ზოგმა შორეული მთა აირჩიეს დასახიზნად და ზოგი კი ქალაქისკენ გვემგზავრა.

სხვის მაგალითს არ მიხედა მხოლოდ ვეშაპიდის სახლობამ; იმათ ირჩიეს თავიანთი რიგიანად მოწყობილ სახლში დარჩენა, უდაბურ ტყეში ხეტიალს. სოფელზე კარგა მოშორებით იდგენ, სახლი დიდ ვენახში ჰქონდათ აშენებული, საკუთარი წყარო და ყოველ გვარი სურსათი ცხოვრებისათვის მრავალი.

მართალია ვეშაპიდიანი დარჩენ, მაგრამ შიშით კი კანკალებდნენ: იმათი ბაღის კარი დიდი კლიტით იყო დაკეტილი, რომ სამეზობლოთ ან წყაროს წყლისთენ ხოლერიანი სოფლიდგან არავინ მოსულიყო; ამასთან ესენი ხმარობდნენ ყოველ გასაფთხილებელ საშუალებას: საპკურებელს თუ სასმელს, რომ ხოლერა ახლო არ მიჰკარებოდათ, მოსამსახურეს და ყმაწვილებს აკრძალული ჰქონდათ ეზოს გარეთ გასვლა და სოფლელებთან ბაასი.

* * *

ერთ მშვენიერ საღამოს, როდესაც მთვარე ნელ-ნელა ამოდინდა მთის ზოლებიდან, ვეშაპიდიანთ ბაღი უფრო ჩაბნელებულად მოჩანდა; ამ სიბნელეში მრავალი ციციანათელა დასცქრიალებდა ყვავილის ბუჩქებზედ, ღობის ეკლებში და წყლის ნაპირებზედ. პატარა თამრო, ვეშაპიდის უფროსი ქალი, გაფაციცებით დასდევდა ამ მნათობებს და უნდოდა მათი დაჭერა; ბევრჯერ კიდევ დაიჭირა და ჩაისვა თავის ხუჭუჭ თმებში, კაბის ნაკეცებში, საიდგანაც ძვირფასის თვლებივით ამოხეყუდა ციციანათელის მკრთალი ნათელი და აღტაცებაში მოჰყვანდა პატარა ცქრიალა ქალი. თამრო ისე გვერთო ამ დროს გატარებაში, რომ ვერც კი შენიშნა სახლიდგან დიდ მანძილზედ მოშორება; ეს გაქანებული მისდევდა ერთს უფრო მნათობს ციციანათელას, რომ უცებ ფეხი წამოჰკრა რალაც რბილს საგანს და ზედ ყირამალა გადაეარდა; ბავშვი შიშისაგან გაშრა, ტირილიც კი ველარ მოახერხა და აკანკალებულ გულზედ ხელები მიიკრა და ჩუმად ბუტბუტებდა: „ღმერთო, ღმერთო მიშველე, ღმერთო მიშველეო!“ ამ ბუტბუტზედ, ის რბილი საგანი, რომელზედაც თამრო გადაეარდა, შეინძრა და ოდნავის კნაელით მიმართა პატარას: — შეილო, ჩემო ზეციდგან მოვლენილო ანგელოზო, მიშველე...

ეკვდები. წადი შინ, ლუკმა მომიტანე“. თამრო დამშვიდდა ადამიანის ხმა რომ გაიგონა, ფეხზედ წამოხტა და სიბრაღულით ჩეკითხა უძღურს; „ენ ხარ? რა დაგმართნია, რატომ შინ არ წახვალ და პურს იქ არა სჭამ?—შინ?... არ შემიძლიან, სისუსტისაგან ფეხზედ ვერ ვსდგები, ოღნავის ჩურჩულით წაიტუტუნა ავადმყოფმა,—მიშველე, პატარა ანგელოზო, თორემ მიმშლით ეკვდები... ამ დროს მთვარე კარგა მალლა იყო და მის შუქზედ თამრომ გაარჩია საბრალო, ძვლებათ ქცეული, მართა დედაკაცი, ამათი პურის მცხოვრელი. ამას გუშინ უფროსი შვილი გაუხდა ავად. შიშით გაგიჟებული მართა ვეშაპიძიანთკენ გამოიქცა, რომ შორიდგან მაინც ეთხოვნა ნუგეში, მაგრამ გზაში თითონ გახდა ავად და მთელი ორი დღე უპატრონოდ ებრძოდა სიკვდილს.—მართა შენა? წამო, წამო ჩვენსა, დედა ყველაფერს გაჭმევს. ხელი მომე აგაყენო.

— არა, ჩემო თამრო, არ შემიძლიან და თუნდაც რომ შემედლოს, დედა შენი სახლში არ შემიშვებს, მე ხოლგერთ ვიყავ ავად.

— ხოლგერთ?! ოჰ, შიშის კანკალით სთქვა თამრომ,—ახლა ხომ მეც შემეყრება... დედა რას მეტყვის რომ დაგელაპარაკე!

— გაგიჯავრდება, ძრიელ გაგიჯავრდება... მაგრამ ნუ ეტყვი... ღმერთი ავაცილებს... ნუ გეშინიან... მიშველე ეკვდები, მეტი აღარ შემიძლიან... ერთი ცვარი ღვინო... შენ ქალობას, ჩქარა...

ისეთი შემადრწუნებელი სასოწარკვეთილება, ისეთი ტანჯვა და ვაებას გამომხატველი იყო მართას მდგომარება, რომ ათის წლის ბავშვიც კი მიხვდა, მოიაზრა, რომ აქ დაგვიანება აღარ შეიძლებოდა და ნიავეით გაფრინდა შინისაკენ.

* * *

პურის საჭმელი ოთახი ღია იყო, სტოლზედ ჩამქრალი სამოვარი ოღნავლა შიშინებდა. მას გვერდით იდგა კარაქი და თეთრი პურების ნაჭრები მრავლად ეწყო — თოვლივით თეთრ სუფრაზედ. თამრომ საჩქაროდ წაუსვა პურს კარაქი, სტაქანში ბლომად ჩაყარა შაქარი და გაციებული, მაგარი ჩაი დაასხა და ზედაც წითელი ღვინო დაუმატა; მერე კალთაში ჩაილაგა პურის ნაჭრები, სტაქანი

ხელში აიღო და ისე ჩუმად, ფეხის აკრეფით გავიდა კარში, რომ ბალკონზედ მსხდომმა დედამამ ვერაფერი შეიტყო.

მართა გიჟივით ჰყლაპავდა თამროს მონატანს და თან ყელზედ ადგებოდა, ახველებდა, იხრჩობოდა, მაგრამ მაინც ხარბათ იტენდა პურს და სასმელს ხომ ისე დეეწაფა, რომ სტაქანიც კინალამ თან ჩაატანა. თამრო გაკვირვებული შესცქეროდა, ეს პირველად ხედავდა დამშეულს, უბედურს, უმოწყალოე ქმნილებას და უნებლიეთ ცრემლი ცრემლზედ ჩამოსდიოდა, იმის პატარა გულში იღვიძებდა რალაც თბილი, სიბრალულით და სათნოებით საესე გრძნობა; ამის პატარა გონება გაქანებული მუშაობდა; ამას თვალწინ ეხატებოდა თავიანთ განათებული, ლამაზი ოთახები, საესე სუფრა, ტკბილი ღვინო, დედის აღერსიანი, მოცინარი პირი სახე და უნებლიედ იწვევდა ამის თავში შედარებას. აქ ბნელა და იქ კი ნათელია, აქ შიან მართას და იქ კი ყველა მადღარია, აქ უპატრონოდ აღამიანი კვდება და იქ კი გადაჭარბებული მზრუნველობა სიცილს მიოჰკვრიდა; მეტადრე ამ ხოლერიანობის დროს. თამრო და იმის ძმები ისე არ დაახველებენ, რომ დედა დაკვირვებით არ დააცქერდეს, ათასჯერ არ გამოჰკითხოს. „ხომ კარგათა ხართო, მუცელი ხომ არა გტკივათო“. ამ მოგონებაზედ თამრომ გაიცინა. მართა შეერთა, იმას ჭამაში სულ დააფიწყდა, რომ თამრო თავს ადგა და შიშით უთხრა: წადი...—წადი... ჩქარა, თორემ მოგიკითხვენ, აქ მოვლენ, მეც მიპოენიან და გადამისერიან სადმე. ჩქარა წადი... ღმერთი იყოს შენი შემწე... აგაცილოს შავი სენი...

თამრო გაიქცა, მერე შესდგა და ჩაფიქრდა, დედის შიში, და მართას სიბრალული ამის გულში ერთმანეთს ებრძოდა. მაგრამ სიბრალულმა შიშზედ გაიმარჯვა და ქალი ისევე მართას მიუახლოვდა.

— ნუ გეშინიან, ხვალ კიდევ მოვალ, ღვინოს მოგიტან, შაქარს, რძეს, პურს, წამლებს და თუ სხვასაც უნდა ვისმე, შენ იმათ მიუტან, არა, მართა? ხომ სხვებსაც ემიებათ? ავადაც ხომ ბევრი არის?!

დედის სიყვარული



ქ, საცა ორი დიდი მდინარე ტიგრი და ეფრათი უერთდება ერთმანეთს გაცალკევებული მდებარებს ერთი პატარა სოფელი სახელად „მახმული“. შიგ ცხოვრობს ათიოდე არაბის ღარიბი მოსახლე. ერთ მხარეზე ამ სოფელს აქვს გაუფლელი ჭაობი და მეორე მხრივ ქვიშიანი უდაბნო. ამიტომაც წელიწადები ისე გადის, რომ აქაური მცხოვრებლები უცხოს ვერაფის ხედავენ.

კიდევ ამ უგზო-უკლობის გამო ამით არც ავაზაკები ეწვეოდნენ და არც ხარჯის მომკრეფი. ვის ჰქონდა მოძულეებული თავი, რომ ამათ მიყრუებულ სოფელში მისულიყვენ, რომლის გარემო მდებარე ადგილები განთქმული იყო ვეფხებით და სხვა გარეული მხეცებათ.

რასაკვირველია მახმულის სოფლის გაველურებულ მცხოვრებლებს ძალიან გაუკვირდათ, როდესაც ერთხელ დილით დაინახეს სოფელში შემომავალი ცხენოსნები. ამ ცხენოსნებს წინ მოუძლოდა არაბული მშენიერი ცხენით წითელ თმიანი ტანოვანი ინგლისელი. სამგზავრო ტანისამოსი ეცვა, მსახური და გზის მაჩვენებელი არაბები თოფ-იარაღით და ბარგით უკან მოსდევდნენ. ინგლისელმა ყურადღება არ მიაქცია მოგროვილ ხალხს, რომელნიც გაშტერებით შესცქეროდნენ და პირ და-პირ მამასახლისის კარებზედ ჩამოხტა.

ყველას უნდოდა შეეტყო, რამ აიძულა ეს წითური კაცი (ასე ეძახდნენ ამ ინგლისელს), რომ ამისთანა გადაკარგულს ადგილს ეწვია. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რასა.

გავიდა ერთი კვირა. ინგლისელი სცხოვრობდა ისევ მამასახლისთან, ჭაობებში ნადირობდა, უნდოდა ვეფხვზედ ენადირა, მაგრამ ვერა გახდარა.

ერთხელ ბინდისას მამასახლისმა გამოუცხადა სოფლელებს, რომ ინგლისელს რაღაც სათქმელი აქვს თქვენთანაო. მაშინვე მამასახლისის კარებზედ მოგროვდნენ სოფლელები. გამოვიდა წითური კაცი, და სთქვა:

— ვის უნდა ათი ოქრო?

ყველამ თვალები დააჭყიტეს. ღარიბი არაბისთვის ამოდენა ფულის შეძენა დიდი ღვთის წყალობა იყო და ყველამ ერთ ხმად შესძახა:

— რას გვიბძანებთ?

— მიზოვეთ ერთი წყვილი ვეფხის ცოცხალი ლეკვი. ამ სიტყვებზედ თვით მხნეობით გათქმულნიც უკან დადგნენ.

დიდი სიჩუმე ჩამოეარდა. ინგლისელი გულგრილად შესცქეროდა და ციგარას პირილამ არ იშორებდა.

— ეფენდი შეუძლებელსა გეთხოვს, სთქვა ბოლოს ერთმა თეთრ წვერა არაბმა, რომელიც სხვებზედ წინ იდგა.—აღლახის*) მადლი არ გამიწყრეს, ხელით ვეფხის დახრჩობა უფრო ადვილია, ვიდრე იმის ლეკვების წართმევა.

მოხუცის სიტყვას ინგლისელმა ყური არ ათხოვა და განაგრძო:

— ვის უნდა ათი ოქრო?

ხმა არაეინ არ ამოიღო.

— ვის უნდა ოცი ოქრო?

ისევ ისე სიჩუმე იყო.

— ოც და ათი ოქრო?

— მე მინდა, მე ვიღებ თავზედ მაგ საქმეს. მოისმა ხალხილამ ხმა.

ყველამ შეხედა ამ უშიშარს. ეს იყო ახალგაზდა არაბი სახელად სულეიმანი, ერთი ღარიბი ქვრივის შვილი. ესენი სოფლის განაპირას, ღარიბ ქოხში იდგნენ. ყველას გაგონილი ჰქონდა, რომ ამას სწადდა მამასახლისის ლამაზი ქალის შერთვა, მაგრამ მამასახლისი უარზედ იდგა, რადგან ყმაწვილი მეტის მეტად ღარიბი იყო.

სულეიმანი წადგა წინ. ინგლისელმა შეხედა ამ წამოსადგე, ჯან მრთელ ახალგაზდას.

*) აღლახს თათრები ღმერთს უწოდებენ.

დედის სიყვარული

— მაშ კისრულობ ამ საქმეს?

— დიახ, ეფენდი.

— როდის?

— ხვალ, მზის ჩასვლის უმაღლეს მოგვევით.

— მაშ თქვენც ხვალვე მიიღებთ ორმოც ოქროს, ორი კი არა თუნდ ერთიც რომ მომგვაროთ.

ამ სიტყვებს შემდეგ ინგლისელი შევიდა ოთახში. ყველანი მოეხივივნენ ამ თავზედ ხელ აღებულ ახალგაზდას. ყველანი ურჩევდნენ ხელი აეღო ამ საშიშარ საქმეზედ, მაგრამ ახალგაზდა არაბი არავის უჯერებდა.

მეორე დღეს ლოცვას შემდეგ სულეიმანმა დაიწყო სამგზავროთ მომზადება: მამის ძველ შუბს წვერი გაუღესა, მერე წავიდა მამასახლისთან და სთხოვა, შენი კაი მატარებელი აქლემი მათხოვეო; მამასახლისს არ უნდოდა თხოვება, მერე ერთ ოქროთ მიაქირავეა.

ნახევარ საათს შემდეგ სულეიმანი გასცილდა სოფელს. ხალხი ლოცვა კურთხევით ისტუმრებდა და საბრალო დედა ქვითინით ტიროდა. ახალგაზდა არაბი უდაბნოსაკენ დაადგა გზას და მალეც მიახწია ქვიშიან ადგილსა.

გარშემო სიცოცხლის ნატამალი არ იყო, თავზედ დასცქეროდა სიცხისაგან აღმურ ადენილი ცა, და მიწა ნაკვერჩხალივით გახურებული იყო.

არც ერთი ხე, არც ერთი ბუჩქნარი, არც ერთი ხორციელი კაცი არ სჩანდა ამ ხრიაკ უდაბნოში. ყველა მიმალულიყო, ყველას თავი აეცილებინა მწვანე მზის სხივებისაგან. სულეიმანს არაფრად იამა გარშემო მდგარი სამარის სიჩუმე. ამ მხნე ჭაბუკს უნებლიედ რალაც შიში შეეპარა გმირულ გულში, მაგრამ უკან დაბრუნება სასირცხვილოდ მიაჩნდა. ერთხელ რაკი საქმე იკისრა, მეტი ღონე არ იყო, უნდა აესრულებინა. გულის ძვერით ააჩქარა აქლემი.

სულეიმანი ორი საათი მეტი მიაქანებდა ქვიშიან უდაბნოში. მერე გამოჩნდა მწვანე ადგილი, მივიდა სწორედ იქ, სადაც ეგულებოდა ვეფხის ბინა. ეს ვეფხი მთელ არე მარეს იკლებდა. ამ ადგილს

იყო პატარა ტბა, ტბა გაზაფხულზედ ივსებოდა წვიმით და ზაფხულს ისევ ისევ შრებოდა. ტბის გარეშემო მაღალი ლერწამი და ხშირი ხეები იდგენ. ამ ადგილს ბუნაგობდა ეს საშინელი მხეცი.

სულეიმანმა მიიარ-მოიარა ეს არე მარე, მერე აქლემი მიმალა ქვიშიან გორაკების უკან, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ძუ ვეფხი მზის ჩასვლის წინად სანადიროთ გამოვიდოდა, მაგრამ იქითკენ კი არა, საცა აქლემი დააბა, მეორე მხარეს გასწევდა. აქლემს პირი თოკით შეუტკრა, რომ ხმაურება არ აეტეხნა და ვეფხს არ შეეტყო.

მერე სულეიმანი შევიდა გაუვლელ ჭაობში, გველივით მისრიალდა ლერწამ და ლერწამ შუა, შევიდა შუა ტბამდის; გული უფანცქალებდა, შუბის ტარს მაგრად ხელს უჭერდა, პირიდან უნებლიედ ლოცვა ამოსდიოდა და აღთქმას უდებდა ღმერთს. ოდნავი ხმაურობა მას კანკალს ჰგვრიდა და შიშით ძრწოდა. დიდხანს ეპარებოდა ასე ეს ახალგაზდა არაბი, ბოლოს მიატანა ერთ ხეს. ამ ხის საშუალებით შეეძლო დაეთვალიერებინა ყველაფერი. დიდი სიფრთხილით ავიდა ხეზედ. იქიდან მოჩანდა მთელი ტბა და ამ ხის ტოტებში მიიმალა. ელოდა მზის ჩასვლას. რამდენიმე საათი სულ გაკმენდილი იჯდა სულეიმანი ხეზედ და თვალს არ აშორებდა არე მარეს. ბოლოს მზე დაეწურა ჩასასვლელათ. ჩრდილმა მოიცივა გარემო, აღარა ცხელოდა, შორს ზღვიდან შემოუბერა ქარმა.

უეცრად ერთ ადგილას მონადირეს გამჭრიახმა თვალმა დაინახა ლერწამის მოძრაობა... ერთ წამს შემდეგ ტბის ნაპირას ამოხტა მშვენიერი ცხოველთა მეფედ წოდებული ძუ ვეფხი. იმან მიიხედ მოიხედა, მერე მივიდა წყლის დასაღვეად. ამ საშინელ მხეცმა წყალი რომ დალია ერთი კიდევ დაიწყო არემარეს დათვალიერება და რადგან საეჭვო ვერა ნახა რა გასწია იქით მხარეს, საითაც სულეიმანის ფიქრით უნდა წასულიყო. გაიარა თუ არა ვეფხმა კაი მანძილი უშიშარი სულეიმანი დაადგა თავის განზრახულ საქმეს, საჩქაროდ ჩამოვიდა ხიდან და გაექანა იმ ლერწამებისაკენ, საიდანაც გამოვიდა ვეფხი. ის ადგილი მოდებული იყო საშინელი ვეფხის ნამსხვერპლი

ძველებით და ამან მიაგნებინა სულეამანს იმის ბუნაგი. ახალგაზდა არაბი მივიდა თუ არა მოიტაცა ვეფხის ორი მშვენიერი ლეკვი, საბანში გაახვია და მოჰკურცხლა დაბმულ აქლემისკენ. ერთ წამს შეახტა აქლემს და პირი სოფლისკენ უყო. მზე ჩავიდა; სისხლის ფერად შეღებილი ცა არე მარეს უცნაურ ფერს აძლევდა.

სულეიმანმა ნახევარი გზა თითქმის გაიარა. ადევნების შიში აღარა ჰქონდა, ამაყად გადახვდა თავის ნადავლს და დასძახა სიმღერა.

პატარა ხანს უკან არაბმა უეცრად სიმღერა შესწყვიტა. საიდგანაც, ძალიან შორიდამ, მოისმა საზარელი ღმუილი. ახალგაზდა მონადირეს ეცვალა ფერი, აქლემი შეაყენა და ყურთა სმენათ გარდიქცა. ღმუილი ხელმოვარედ მოისმა. ეჭვი არ იყო, გააფთრებული ძუ ვეფხი ღმუოდა.

სულეიმანმა მაგრად მოჰკიდა ხელი შუბს და ააჩქარა აქლემი, მაგრამ ამ ჰკვიან აქლემს რა აჩქარება უნდოდა, იმანაც იგრძნო შიში და ქარივით გაჰქროლდა... რამდენიმე წუთის შემდეგ მოისმა ხელახლად ღმუილი. მერე რა—უფრო ახლო. სულეიმანი მიხვდა, რომ ვეფხს მიუგნია მტაცებლის კვალი და გამოსდგომია. ერთი-ღა იმედი დარჩენოდა, რომ ფეხჩქარ აქლემს ძვირუასი დავლით მხედარი მალე მიეყვანა სახლში. სულეიმანი შუბის წვერს უძგერდა აქლემს ბეჭებში და ისიც მიაქანებდა. ასე გავიდა ნახევარ საათი. დრო გამოშვებით მონადირეს ესმოდა ძუ ვეფხის ისეთი საზარელი ღმუილი, რომ ძარღვებში სისხლი უშრებოდა. ეს ღმუილი თან და თან ახლო მოისმოდა. ბოლოს სულეიმანმა მიიხვდა და დაინიხა თითონ მხეცი. ვეფხი თითქოს მიწას არ ეკარებოდა, ტყეისასვით მორბოდა. ეინ იქნებოდა იმისთანა გულადი, რომ არ შეაშინებდა იმის კბილებ დახრჭენილი პირი, გასისხლიანებული ენა და გაშმაგებული თვალეზის ბრიალი.

ერთი წუთი კიდევ და ეს საშინელი მხეცი მხედარს უნდა მივარდნოდა. ახალგაზდა არაბმა გონება არ დაჰკარგა. მაშინვე ერთი ლეკვი გადუგდო, თანაც მობრუნდა და შუბი მომართა მხეცის დასახვედრად.



ძუ ვეფხი ღმუილით მივარდა თავის ლეკვს და ერთ წამს შედგა, თითქოს ფიქრობდა: მეორეც გამოველოჯო თუ ჯერ ეს დაებინავოო. ამ უკანასკნელმა განძრახვამ აჯობა, დედამ თავისი ლეკვი კბილებით მოიტაცა და გააქანა საბუნავოში.

სულეიმანი სიხარულით აღარ იყო, როდესაც ნახა, რომ მდევარი თავიდან მოიშორა. ალლახს მადლობას სწირავდა და მხეცს საშინლად სწყევლიდა.

მზე ჩასულიყო. ბინდი მოჰფენოდა არე მარეს, როდესაც გულოვანი, ბედნიერი და ამპარტავენი ყმაწვილი კაცი მივიდა ნაშოვრით თავის სოფელში. მთელი სოფელი სიხარულით დაუხვდა. მამასახლისიც მორბილდა, მეტადრე მაშინ, როდესაც ახალგაზდა არაბს ჩაუთვალეს ორმოცი ოქრო და მოინდომა იმისი სიძობა.

ბედნიერმა სულეიმანმა მაშინვე გამართა ქორწილი, მოიწვია მთელი სოფელი. გათენებამდის მხიარულებდნენ, მღეროდნენ და ცეკვამდნენ...

სოფელ „მახმუდის“ მხიარულებამ დიდხანს არ გასტანა. ძუ ვეფხი, თავის დაკარგული ლეკვის გამო, გაუხდა ამ სოფელს მოსისხლე მტრად. ყოველ ღამე მოისმოდა ვეფხის საშინელი ღმუილი, რომელიც ადამიანს ჭირის ოფლს ასხამდა.

ყოველ ღამე იკარგებოდა რაც სოფლის სიმდიდრეს შეადგენდა: აქლემი, ხარ-კამეჩი და სხვა საქონელი.

ზოგჯერ გააფთრებული მხეცი ადამიანებსაც ერჩოდა. ერთხელ მამასახლისიც ხოლო თავისი აქლემის წყალობით ძლიერ გადურჩა. საქმე იქამდის მივიდა, რომ სოფლელებს, დაბინდებოდა თუ არა, უნდა კარები ჩაეკეტათ.

ბოლოს ისე ყველანი დაშინდნენ, ისე გაუჭირა ვეფხის გადამტერებამ საქმე, რომ ინგლისელს მოსთხოვეს, ან მიე ლეკვი დედასო და ან აქედამ მოგეშორდიო. ინგლისელმა არჩია წასვლა თავის ქვეყანაში.

ერთხელ დილა ადრინათ მგზავრები შეიარაღებულნი, როგორც ეწვივენ სოფელს, ისეც ეხლა უკან გასწიეს.

მთელი დღე მგზავრები მოსვენებით მიდიოდნენ, ისეთი არა შეემხეთ-რა, რომ დაევიწყდათ კიდევ საშიში ვეფხი.

ბინდისას ეფრატის მდინარეს მიადგნენ მგზავრები და სტკებოდნენ მდინარის კიდეების მშვენებებით.

უეცრად გზას იქით რაღაც ჩრდილი გამოჩნდა. ერთი თვალის დახამხამებაზედ ვეფხი შეახტა ინგლისელს, ხლებულების ცხენებს შეეშინდათ, გაიწ-გამოიწიეს და ყალყზედ დადგნენ. ხლებულები ისე დაიფანტნენ, რომ უმიზნოდ დაცალეს ორჯელ-სამჯელ თოფები.

როდესაც გონებაზედ მოვიდნენ, დაინახეს თავიანთი ბატონი ცხენიანათ მიწაზედ გამოტილი.

აღარც ვეფხი სჩანდა და აღარც მისი ლეკვი.

ინგლისელს ვერ დარჩა კარგათ ვეფხის ცოცხალი ლეკვის შოვნა. ამ თავს გარდასავალის სახსოვრათ იმას აქამდის მხარზე ღრმა ჭრილობის დალი აჩნია.

ან. თ-წ—სა.





ტკბილი და მწარე

ეფემ უბრძანა სასუცესს:
«მოიარე ქვეყანაო
და ტკბილი რამე საჭმელი
მოძიებნე მისთანაო,

—
რომ იმაზე გემრიელი
სსუა აღარა გამოდგესო!»
—შესწვა ენა და მიარტუა.—
«ის საჭმელი გახლავთ ესო!»

—
სჭამა, იამა და ბრძანა:
«მართალი ხარ სასუცესო...
ეგ ნატურა რომ შემისრულე,
ანსრულე ახლა ესო:

—
«აბა, წადი და მიმოფნე
ისე მწარე საჭმელიო,
რომ გამოჩნდეს მასთან თაფლად
მიმწარე და ნაღველიო!»

—
სასუცესმა ესევე ენა
მოუტანა და მიარტუა.

მეფემ თვალი გადნაულო,
გაუკვირდა და ასე სთქვა:

—
«მაშინ შენ ენა მომხრთვი,
როცა ტკბილი მენებაო!...
მწარეს ვითხოვ.—ისევე ენა
მოგატკეს!... როგორ იქნებაო?»

—
მონახენა სასუცესმა:
«თავიდან თქვენთან, თქვენმა მზემეო!...
სედმიწევნით შემიტევიან,
კარგად ვიცი მაგის კემეო!»

—
ვერც სიტკბოთი, ვერც სიმწარით
ენას ვერა ედრებაო!...
ზოგს ძალამოდ დაედება
და ზოგს ისრად ეჭრებაო!...

აკაკი



გ ა რ ი ე ლ ა.*)

(თამარ დედოფლის ლეგენდა).



აზაფხულია. ჭაბუკის წვერ-ულვაშივით ახლად აბუსუსებუ-
ლი ბალახი საამურად ბზინავს თბილსა და მხიარულს დღე-
ში. გასაშლელად მომზადებული კვირტები ნელა-ნელა,
შეუმჩნეველად იხსნიან მაგრა შეხვეულს და შეკრულს,
ზამთრის სიცივისაგან შეშინებულს, საკინძებს გულზედა,
საიღამაც გამოჩნდებიან ჯერ ქორთა მწვანე და რბილი
ფოთლები და მერე ათასფერი მრავალ სამოსლიანი ყვავილები; ყვავი-
ლების გულში, ვინ იცის როდის, ჩასხდებიან პატარა ნაყოფები.
მრავალჯერ მრავალი ბუზი გაცოცხლებულა და გაუმართავთ ნა-
ზამთრი ფრთები, არხენად დაფრინავენ და ნელსა და ბოხს ხმაზედ
დაბზუვიან, თითქოს ბუკს აყვირებენო.

* * *

აგერ თამარ დედოფლის ბაღში ვართ. თამარიც იქ ბრძანდება; აუზ-
ში მოთამაშე გარიელას შესცქერის. გარიელა სიამოვნებაში ხან
ჩაეშვება აუზის ძირისაკენ, ჩაიყურჭუმელაევებს წმინდა ნაკადში და
ერთს წამს გაქრება, მაგრამ მეორე წამს, მეორე ნაპირში ამოჩნდება,
თითქო გაუმარჯენიაო და ამაყად თეაღებული წყალს უწყებს მხრე-
ბით ცემას და ტყაბუნს; ხან დაიხრება, და ფრთების ცემით გაქან-
გამოქანებული ზვირთი კისერზედ და ზურგზედ გადასდის. ცვარი
წყალი კი არ ადგება ზედა; ისევ ისეთი ლამაზი და კოხტაა. ნეტა
რატომ არ უხუნდება ის მუქი მწვანე საცმელი, შიგა და შიგ რომ
მომხიბლველად თეთრ-წითლად მოუქარავიათ?! გარიელასაც ის

*) ფრინველის სახელია.

უხარიან, რომ საქართველოს სადიდებელი და სალოცავი თამარი თავს დასცქერია, მეტი რაღა უნდა გარიელასა? არ არის კმაყოფილი? რამდენი ოქროსფერი თევზები ბუდობენ აუზში; ვინ დაუშლის გარიელას დაიჭიროს, რამდენიც უნდა. მაგრამ აგერ გარიელა მალლა ჰაერს შეაჩერდა უცებ, მხრები ჩამოუშვა და წყალზედ გაშეშდა. თავი გადინარა, კისერი აიგძელა და ცალი თვალი ცის უფსკრულს მიაჩერა.

— რას შესცქერი, გარიელა, ითამაშე! ქორი ხომ არ დანახე და იმან შეგაშინა? ეკითხება თამარი.

გარიელა ხმას არ იღებს.

— შევარდენმა ხომ არსად დაიკიელა და შენ გული შეგენძრა, ჩემო ლამაზო, რა არის შენს თავსა?

გარიელა გარინდებული და გაქვავებული ისევ მალლა იცქირება.

— ავად ხომ არა ხარ და მიკვდები, გარიელა? ეკითხება თამარი, მაგრამ გარიელა უძრავად ზის და გაუნძრევლად ისევ მალლა იხედება.

თამარმა ხელი წააგლო გარიელას, თითქო იმისი გამოფხიზლება უნდაო, მაგრამ გარიელა ისევ ცისკენ შეიქცირება, სხვა სიცოცხლის ნიშანი იმას აღარ ეტყობა. თამარმაც შეიხედა მალლა, მაგრამ იქ წეროების გუნდის მეტი ვერაფერი დანახა. გაბმულან შორს, შორს მალლა და მიეშურებიან ჩრდილოეთისკენ. გარიელა იქნება იმათ უცქერის? მიდიან წეროები, მიფრინვენ აჩქარებითა. აგერ მიიფარენ თვალთაგანაც. აგერ ბატებმაც გადიარეს, საოთებმა, გედებმა. გარიელა ისევ უძრავადა ზის და შესცქერის ცის გუმბათსა. მზე ჩაწვევრებულა და ორიოდე შუბის ტარი-ლა აქვს ჩასასვლელი.

აი ფრთების ხმა უფრო ახლო მოისმა. აგერ იმათ თავზედ გარიელებმაც გადიარეს, ისინიც ჩრდილოეთისკენ მიეჩქარებიან. გარიელა უცებ გაცოცხლდა, მხრებით ერთი გაუტყლაშუნა წყალსა და ჰაერში აფრინდა, გაშალა მხრები, ორჯერ თუ სამჯერ კამარა გააკეთა, უნდოდა გაჰყოლოდა თავის მოძმეებს, მაგრამ, თითქოს

მოაგონდა რაღაცაო, თოფ-ნაკრავივით თამარის ფეხებთან ჩამოეშვა. რაღა გარიელა იყო! აღარც სიცოცხლე, აღარც სხვა სინარული იმას აღარ ემჩნეოდა. მხოლოდ თამარსღა შესტკეროდა, თითქოს იმისი სიცოცხლე იმაზე ჰკიდიაო. თამარი მიჰხედა. აიყვანა ხელში გარიელა, გადუსვა მხრებზედ და გულზედ თავისი ბროლის თითები და ალერსით უთხრა:

— წადი, ჩემო ტურფავ. წადი, გაფრინდი შენს ძმებთანა. მე ხელს არ შეგიშლი, გაფრინდი, გარიელ, ღმერთმა გაგაბედნიეროს! ვინძლო არ დამიფიწყო კი. მე შენ თავისუფლებას ვერ წაგართმევ; წყეული იყოს და შეჩვენებული, ვინც სხვას თავისუფლება მოუსპოს. იხარე შენც, როგორც ერთი ვინმე ხარობს თავისუფლებითა! ეს უთხრა და ააფრინა ჰაერში.

გარიელამ მხრებ გაშლილმა ერთი შეინავარდა, ერთი შეითამაშა და ისარივით გაეშვა თავის მოძმებისაკენ.

თამარი დიდხანს გასტკეროდა მიმფრინავის კვალსა, სანამ სულ არ მიეფარა. ეხლა ის ტყვე აღარ იყო!

* * *

გარიელას ამბავი გძელი არ იყო. ერთმა მონადირემ მოართვა თამარს პატარა გარიელა. თამარმაც გაზარდა, აჭმევდა თავის ხელით და ეფერებოდა, ჩაჰსევამდა აუზში და თვითონაც თავს ადგა ხოლმე იმის ჭყუმპალაობას. თამარს გულით უყვარდა გარიელა.

* * *

მალე გაფრინდა ზაფხული, თან გაიყოლა დარიანი და თბილი დღეები. დარჩა წვიმა და ტალახი. გაიცარცვა მთა და მინდორი, კახმა ჭალაში ბალახი. ხეებიდან ფოთოლმა დაიწყო ჩამოცვივნა და ჩრდილოეთიდან ფრინველებმა დენა სასამხრეთოდ. გაზაფხულითაც წეროებმა გადიარეს წინა და შემოდგომითაც ისევ ისინი მოდიან. გაუღმით სიმღერა და ნაცნობს ქვეყნებს ატყობინებენ:

„ჩრდილოეთიდან მოვდივართ,
უკან მოგვყვება ზამთარი;

მიუბრით სამხრეთისაკენ,
იქ თბილი ბინა მზათ არი.

დაეტოვეთ ცივი ყინული,
ქაობიანი ციმბირი.

იქ ლხინს და ნეტარებასა
აქ გვირჩევენია სიკვდილი!

წესი გვაქვს, მივეჩქარებით,
თბილს ვეტანებით მხარესა,
მაგრამ მაღიმაღ თქვენსასა
ამბავსა ვკითხავთ მთვარესა;

მალე მოგიყვანთ ისევა
გაზაფხულს გასახარელსა!“

ბევრი ჩვენც მიენატრებთ წეროებს, რომ ისე თავისუფლად მიდიან და მოდიან. წეროებს ბატები და საოთები მოსდევენ უკანა; ყველანი ქვეითკენ მოდიან.—ნეტა გარიელები სადღა არიან, ისინი კი არ მოფრინდებიან, ფიქრობს თამარი.—იქნება ჩემი გარიელა მოკლა ვინმე? იქნება გზაზე დაიღალა და დარჩა სადმე? ან იქნება არწივმა მოიტაცა და შეუბრალებლად გაგლიჯა? ან იქნება დაევიწყდი, ცოცხალი იყოს და აღარ ვახსოვდე. ან რად ვეხსომები, იქ არ ურჩევიან, თავისუფლად, თავის ტოლებში?

ასე ფიქრობდა თამარი, მაგრამ გარიელამ არ დაივიწყა თავისი თამარი; ის გაშურებული მიფრინავდა თავის მხსნელთან. აგერ გარიელების გუნდი დაუსწორდა სასახლეს, ერთი გარიელა გამოერჩია ბრბოდან და დაეშვა დაბლა; აგერ თამარის ფეხებთან დაეცა და მხრებგაშლით მიუაღერსა. დაიხარა თამარიც და დაუწყო კოცნა და აღერსი გარიელასა. როცა თამარი ხელს უსევამდა გარიელას თავზედ, გარიელამ სამი ჩხირი დაუწყო ბროლის თითებზედ. მერე თავისუფლად, თითქო ეხლა კი სიკეთე გადუხადაო, შემოჰკრა მხარი მხარსა, აფთხა, აიწია ჰაერში, ერთი კიდევ დაჰტრიალა თავზედ ნიშ-

ნად გამოთხოვებისა გაოცებულს თამარს და წავიდა სამუდამოდ, გაჭმორდა ტყვეობის ქვეყანასა.

— მშვიდობით, გარიელო, მშვიდობით! მიაძახა თვალცრემლიანმა თამარმა. იყავ ღლეგრძელი და ბედნიერი!

* * *

მო ბრუნდა თამარი სასახლეში. მართალია ცრუმორწმუნე არ იყო თამარი, მაგრამ ამ ამბავმა დააფიქრა კი. რა იყო ან გარიელას ისე მოსვლა, ან ისე უცებ წასვლა, ან ის სამი ჩხირი, საიღამ მოიტანა, რისათვის მოიტანა, ან რადა.—რაღაც სასწაულ მოქმედი კი უნდა იყოს ეს ჩხირები, ფიქრობდა თამარი, რომ გარიელამ ამით გადმიხადა მალლობა. თამარმა დაუძახა მაშინვე თავის კარის კაცებს და გადასცა ის ჩხირები საცდელად, თუ რა იყო. კარის კაცებმა სცადეს ჩხირები, ბევრი აცოდილეს და ვერაფერს მიხედენ. ბოლოს ერთი ჩხირი ღვინიანს თასში ჩააგდეს. აი ღვინიანს ღვინის განგებასა, ღვინო სპილენძად იქცა, კიდევ დაასხეს, კიდევ იქცა სპილენძად. ახლა მეორე ჩხირი ჩააგდეს ღვინოში, ის ვერცხლად იქცა. მესამე ჩხირმა ოქროდ აქცია. იმათ გაოცებას სამზღვარი არა ჰქონდა, — ვინ მოგართვათ, სად იშოვეთ, ვინ მოგცათო, ეკითხებოდნენ თამარსა.

— ღმერთმაო, უპასუხა თამარმა.


* * *

გამდიდრდა სახელმწიფოს ხაზინა. გამდიდრდა საქართველო. გაძლიერდა თამარი. გავარდა სახელი ქვეყნის კიდემდე. განათლდა საქართველო. სოფელი არ არის, თამარს ეკლესია არ აეშენებინოს, დაბა და ქალაქი არ არის, ციხე-კოშკები არ აღემართოს; მდინარე არ არის, ხიდი არ გაედევას, უფალი ადგილი არ არის, სეაღი გზა არ გაეყვანოს, კაცი არ იყო, წყალობა არ ექნას. დაიმართა მრავალი სკოლები და აყვავდა საქართველო. ჭეშმარიტად მაშინ იყო საქართველოს ოქროს დრო! ტყუილად-ღა ცდილობდნენ მტრები საქართველოს ზიანსა, თამარმა გამრავლებულის ჯარით სულ

ცხვირიდან ძმარი აღინა თავის მტრებსა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი.

თამარ დედოფალი ვიყავ,
თავი ზეცამდის ავიღე;
სტამბოლს ხმალი ვკარ, დარუბანდს,
შამს საბალახე ავიღე.
ზღვაში სამნები ჩავყარე,
ხმელეთი ჩემსკენ მოვიღე;
უსიერი მთა გავკაფე,
დიდი შარა გზა გავიღე;
ლადალუდა ტყე ვიარე,
ქედზედ საყდარი ავიგე.
ვადიღე ჩემი ქვეყანა,
სახელიც დიდი დავიგდე!

თ რაზიკაშვილი.



„წიგლის რამება“



საბავშვო სიმღერა ნოტებზე გადაღებულ ს. ხსიკვაძის ვან.

2/4

წა წა ძეკან და მე ო მა — რი

2/4

წა წა ძეკან და მე ო მა — რი,

წიხი ხი წიხი ხი ი ყო მის თვის ო — მი

წიხი ხი ი ყო მის თვის ო — მი

და ა მარ ცხა სჯულის მტე რი, მოკდა მის ღვრად რთორ

მაძეკან და მოჭიდავე. წიხლა მე ვარ სამშობლო იქნებას კეთილ ამახელა
 რსად იყო მისი ცალი მიუკარს, მიუკარს ხედი მხარე. და მან მითხრა: „— გენაგვალ
 აგრამ ეხლა ფალავნობა მაკრამივი მე, ზაგარამ. „თუ ვსურს მამული ახარო,
 ღარა ღის ვროში ცალი კერაფრით ვერ ვაკახარე! „სწავლას მიწყავ ხელი ძალე

ზ ა მ თ ა რ ი



ანაღლიანდა ქვეყანა,
ჩაღრი მოისხა არემა;
მზემ დაგვიძვირა სხივები,
შემომიმაღლა მთვარემა.

**

ქარი ჰქრის, თოვლი ზედ მოსდევს,
ყინვა გვისუსხავს ხელებსა;
ხეებთან ერთად ნამქერ ქვეშ
ჩასძინებიათ ველებსა...

**

ვით მარმარილო შორს თეთრად
მოსჩანან მთისა თავები
და უფსკრულს ჩამოსაწოლად
ყელყელობენ ზეავები...

**

ცაღ ბურუსებით მოსილი
აღარ დაგვეყურებს ღიმითა,
პირს აღარ გვიბანს მინდვრებსა
ცივის ყუყუნა წვიმითა.

**

სღუმს არე-მარე ყველგანა,
სოფელიც მუნჯად ქცეულა!...
კალოს პირს ძველი საბძელი
თოვლის ქვეშ წამოქცეულა;

**

ზედ დახვევიან ჩიტები,
საკენკს ეძებენ, წვალობენ,

ნისკარტით სცემენ ერთმანეთს
და უგულოთა გალობენ.

**

ბოსლის კარიდამ ბაღლები
ჩიტების გროვას ხედავენ;
უნდათ გამოხსელა გარეთა,
მაგრამ კი ვერა ბედავენ.

**

შერბიან ისევ სახლებში
კერის გარშემო სხდებიან;
და ლექსებ-გამოცანებით
ერთმანეთს ეჯიბრებიან.

**

იქავე ახლო კატაც ძაღლს
კრუტუნით ჩაჰხუტებია...
და მათვე გვერდზე საწინდე
ფთილებსა ართაეს ბებია.

**

პაპაც გულ-გაჯერებული
გრძელ ღამეებში წოლითა;
ბუხრის წინ თავსა იყოლებს
ბლის-ტარა ყალიონითა.

**

ეძლევა ფიქრებს მრავალ-გვარს,
იგონებს წარსულ დღეებსა!...
ზოგჯერ კი ითელის თითებზე
სუსხიან ზამთრის თვეებსა.

**

ნუ შეშინდები პაპილო,
გული ნუ დაგიწყლულდება,
თოვლი დადნება საცაა
და მალე გაზაფხულდება!...

ვეფხისტყაოსანი

ნამბობი მოზრდილი ყმაწვილებისთვის

(დასასრული*)

ზღვის მეფისა და ფატმანას ნახვა გზაზე და ფრიდონისა მისგლა.

ბარიელმა ზღვის მეფესთან კაცი გაგზავნა, შეუთვალა: ქაჯეთს ვიყავ, გავიმარჯვე, მოვდივარ გამარჯვებულიო. ჩემი მიჯნურიც დაეხსენ და თან მომყავს კილობნითაო. მოვდივართ და თქვენი ნახვა გვინდა, როგორც მამისაო. ქაჯეთს სრულად თქვენვე გიძღნით, თქვენი ჯარი ჩააყენეთო. მე ვისწრაფი; თქვენთან ხლება არ მცალია, თვით მობრძანდითო. ფატმანის ქმარსაც უბრძანეთ, გამოგზავნოს თავის ცოლიო. მისი ნახვა ენატრება ჩემსა მზესა, დავალბეულსო.

ზღვათა მეფეს გაეხარდა, მოეგება ტარიელსა. თან იახლა დიდი რაზმი და ფატმანიც მოიყვანა. წამოიღო მარგალიტი და ძვირფასი სტავრა საძღნოდ. რა სცნეს მისი მობრძანება, სამივენი მიეგებენ. გადახტენ და თაყვანი სცეს, სიყვარულით მოიკითხეს. მეფემ და მისთა მზღეთა ტარიელსა ქება უთხრეს. ნესტან-დარეჯანის შვენებამ მეფე ძრიელ გააკვირვა, ფატმანი ქალს მოეხვია, გადმოყარა ცხელი ცრემლი. ერთიანად გადუკოცნა ხელი, ფეხი, პირი, ყელი. იტყვის: „ღმერთო, რა გემსახურო, განმინათლდა რადგან ბნელიო.“ დარეჯანიც ეხვეოდა, ჰკოცნიდა და მადლს უხდიდა.

*) იხილეთ „ვეფხილი“-ს მე-V №-რი 1892 წლისა.

ზღვათა მეფემ დიდი ლხინი გაუმართა ძვირფასს სტუმრებს. შეიღსა დღესა არ გაუშვა, აღხინა და აქეიფა. ქაჯეთისა წყალობისთვის ტარიელსა მადლი უძღვნა. გვირგვინი იაგუნდისა და ოქროს ტახტი მიართვა. ნესტან-დარეჯანს მიუძღვნა ერთი ძვირფასი ყაბაჩა, შემკული იყო ლალითა და წითელი იაგუნდითა. ფრიდონსა და აეთანდილსა თვითო ცხენი შეკაზმული და თვითო კაბა მიართვა, ძვირფასი თელეებით შემკული.

ტარიელმა ზღვათა მეფეს დიდი მადლობა შესწირა და ბოდიშიც მოიხდა: მომიტყევთ, დიღო მეფევ, რომ მე შინ ვერ გიახელითო. მერე ადგა, გემი სთხოვა და წამოსვლა დააპირა. თვითონ მეფემ ტარიელსა ტკბილი სიტყვით მოახსენა: ხელმწიფეო, ლომო, ქველო, მშვენიერო სანახავო! მე მის ფასი რა გიძღვნეო, რაც რომ ნახვით გაეიხარეო.“ მერმე ბძანა ხომალდისა ზღვის ნაპირად მომზადება. გამოაცილა სტუმრები, დაკოცნით გამოეთხოვა: ფატმანიც ნესტან-დარეჯანს ეხვეოდა და ჰკოცნიდა, მათ გაყრა ეძნელებოდათ და ბევრი ცრემლი აფრქვიეს. ტარიელმა ფატმანს უთხრა, დღეის შემდეგ და ხარ ჩემიო. რაც შენ სიკეთე მიყავი, მისი გადახდა შეუძლებელიაო. ადგა, უძღვნა ის საუნჯე, ქაჯეთიდან რომ მოჰქონდა.

წამოვიდენ შოგზაურნი, მხიარული მოდიოდენ. ტურფა უჯდათ კიღობანში, ყველა იმას შეჰხაროდენ. ასმათს კაცი გაუგზავნეს, მშვიდობით მოსვლა ახარეს. ფრიდონმაც შინ შესთვალა, გამარჯვებული მოვალთო. მეიძრა საბრძანებელი, მეფეს ხალხი მოეგება. ვეზირთა და დიდებულთა თაყვანი სცეს, მიულოცეს. ხალხის ტყვა აღარ იყო, იძახოდენ: „ვაშა! ვაშა!“! ასმათისა სიხარულსა სამზღვარი აღარ ჰქონდა. გულში ჩაიკრა გაზრდილი, მოშორება არ უნდოდა. გაზრდილიცა მოეხვია, ასტირდა და ცრემლსა ღვრიდა.

ფრიდონ მეფეს მოაგონდა დახოცილი ქაჯეთს ჯარი. ცრემლით აქო დახოცილნი და ხალხს უთხრა სამძიმარი. რა ნახეს მეფის ცრემლები, ხალხიც შესწუხდა, ატირდა. „ნულარ გლოვობ, ხელმწიფეო,“ მეფეს ხალხმა მოახსენა. „თქვენთვის სიკვდილი არ გვიმძიმს, სიცოცხლისაც მჯობიაო.“

მერმე წავიდენ, შებრძანდენ მულღაზანზარის ქალაქში. სცემდენ ბუკსა და ტაბლაქსა, გაჰხდა ზათქი და ზარია. ხალხი მოაწყდა საცქერად, ვერ იჭერდა დიდი ჯარი. სასახლეში რომ ჩამოხდენ, წინ უფენდენ ოქსინოსა.

ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის დაქორწინება ფრიდონისას.

ფრიდონ მეფემ ქალ-ვაჟისთვის ტახტი დასდგა მშვენიერი. თვალმარგალიტით შეამკო, ზედა დასვა ორივენი და ქორწილი გაუმართა, როგორც ეკადრებოდათ. ლხინი, თამაში, სიმღერა რეა დღეს აღარ შემწყდარა. ქალ-ვაჟი ისრე შვენოდენ, ვით შეყრილი მზე და მთვარე. საჭურჭლე გახსნა ფრიდონმა, არ დაზოგა საჩუქარი. ცხრა მარგალიტი მიართვა, ბატის კვერცხისა ოდენა. ერთი თვალიც საკვირველი, ღამე მხესავით ბრწყინავდა. აეთანდილს უძღვნა ფრიდონმა ტაბაკითა მარგალიტი. სტავრა ვაიკა იმდენი, ანგარიში არა ჰქონდა. ტარიელმა ფრიდონ მეფეს დაუმაღლა, მოახსენა: „არ გეშურების სიციოტლე, არცა გაცემა სულისაო. მე თქვენგან ეპოვე მოკვდამან, წამალი ჩემი წყლულისაო.“

ამას შემდეგ ტარიელმა მოციქულობა გამართა. მოციქულად აეთანდილსა თვით ფრიდონი მიუგზავნა. შეუთვალა, ვინ გარდიხდის, ძმაო, შენსა ჭირნახულსა? აწ მითხარ, ჩემგან რა გინდა, ანუ რით მოგვხმარებო? — გირჩევ წავიდეთ არაბეთს, როსტევანს ვემუდარები. თუ შენ შენს მიჯნურს არ შეგრთავ, მე ჩემსას არ ეექმარებო. აეთანდილსა გაეცინა, სთქვა: „მშველელი მე რად მინდა? ჩემი მზე განა ქაჯთა ჰყავს! ტახტსა ზედა ჰზის მორკმულიო. „ფრიდონს უთხრა, მოახსენე: „მადლი რად უნდა მეფეო? ვარ მუცლიდგანევე დედისა თქვენად სამონოდ შობილიო. ღმერთმა აეთანდილ მიწა ჰყოს, თუმცა მეფედ არ გყო ცნობილიო. ჯერ წავიდეთ ინდოეთში, მტერნი თქვენი ამოეწყვიტოთ. მინდა განხო ტახტსა ზედა შენ და შენი

მზე მჯდომარეო. მაშინლა მივალ არაბეთს, მომხედეს მის მზისა ხლე-
ბანიო“. ტარიელი არ დათანხმდა, გადაჭრილი უარი უთხრა.

ფრიდონ მეფემ დაარჩია საუკეთესო მოყმენი. წაიყვანა და თან
წაჰყვა აეთანდილს და ტარიელსა. ჯერ წავიდენ ქვაბთა შინა, სა-
დაც ტარიელ სცხოვრებდა. გზაზე ხუმრობით, სიცილით და სიმღე-
რით მიდიოდენ. ქვაბში მივიდენ, ჩამოხტენ, პური სჭამეს, დაისვენეს.
რაც საუნჯე იქა იყო, ტარიელმა ფრიდონს უძღვნა. მისი მოყმენიც
ყველანი მოწყალებით გაამდიდრა. მეფემა და მისთა ყმათა თაყვანი
სცეს, დაუმაღლეს. მერმე მეფემ ყმებს უბრძანა, აქლემები მოასხითო.
ეს საუნჯე ბოძებული გაზიდეთ და გადიტანეთო. მეორე დღეს ყვე-
ლა ერთად არაბეთში გამგზავრენ. არაბეთში რომ შევიდენ, ციხე
ნახეს მათ მრავალი, გაშენებული სოფლები მნახველისა თვალს
ატკობდა. ტარიელმა როსტევეანსა კაცის პირით შეუთვალა: „მო-
დივარ მეფე ინდოთა დარბაზსა თქვენსა სეფესო. პირველ მნახეთ,
გამიწყერით და შებყრობა მოინდომეთო. მეც ვიწყინე და დავხოცე
თქვენი მონები მრავალიო. აწ მოვალ თქვენსა წინაშე, შემინდეთ
შეცოდებანიო. ძღვენი არა გვაქეს, გვმოწმობენ ფრიდონ და მისი
ყმანიო. მხოლოდ ძღვნად თქვენი აეთანდილ მე თქვენთვის მომი-
ყვანიო“. როსტევეანმა გაიხარა, წამოვიდა შესაყრელად. თან იახლო
მან ლაშქარი, მოყმენი და დიდებულნი. აეთანდილმა დაინახა მეფე
შორით მომავალი. ტარიელსა მოახსენა, ვერ შევხდები, მრცხვენიაო.
შენ და ფრიდონ მიეგებეთ, რასაც მიზამთ თქვენ იციოთო. ტარიელ-
მა მოუწონა აეთანდილსა ეგე კრძალვა. „ნუ წამოხვალ,—უთხრა,
დარჩი, მე წავალ და ფრიდონიო“.

ჩამოსვეს ქალი კიდობნით და დაუდგეს იქ კარავი. აეთანდი-
ლიც არ წასულა, ჩამოხტა და იქვე დარჩა. ფრიდონი და ტარიელი
როსტევეანს წინ მიეგებენ. გარდმოხტენ და თაყვანი სცეს, მოწიწე-
ბით უსალამეს. მეფე ვაჟებს მოეხვია, გადაკოცნა, ვითა შეილნი.
მერმე აქო ტარიელი, მოუწონა თვალადობა.

ტარიელმა როსტევეანსა მოწიწებით მოახსენა: „მიკვირს, თუ
ეგრე სიკეთე თქვენ ჩემი რად გეგონების, რადგან აეთანდილ შენია,



ვეფხისტყაოსანი

სხვა რად ვინ მოგეწონებოდა. ნუ გიკვირსთ მისი ვერ ნახვა და დაყოვნება ხანისაო. მოდი და დაესხდეთ მწვანეზე, მოვახსენებთ მიზეზსაო. მაგრამ ამას გიაჯები ჯერ თარმანი მიბოძეთო“.

დასხდენ ერთად მწვანე კორღზე და რაზმიც გარს შემოადგათ. ტარიელმა მეფეს ჰკადრა ზრდილობით და ბრძნული სიტყვით: თქვენთა უყვართ ერთმანეთი, ქალი მას და იგი ქალსა. მით ვიგონებ საბრალოსა, მტირალსა და ფერ-ნამკრთალსა. მუხლ-მოყრილი გეაჯები, ნულარ აწვევ იმათ აღსა, რომე მისცე ქალი თქვენი მკლავ-მაგარსა, გულ-ფიქალსაო“. ესე სთქვა და ხელმანდილიც ვაჟმან ყელზედ მოინასკენა. აღსდგა, მუხლნი მოუყარა, ეხვეწებოდა, ვით გამზრდელსა. ტარიელი მუხლ მოყრილი ნახა მეფემ, შეძრწუნდა. თაყვანი სცა, მოახსენა: რასა ეხედავ, ხელმწიფეო! გინდ გინდოდესთ ჩემი ქალი სასიკვდილოდ, ანუ — ტყვედო, არცა მაშინ დავიშურებ, დამერწმუნეთ, თქვენთვის მასო. მე სიძესა აეთანდილზე უკეთესსა სად ვიშოვიო. ქალი ჩემი თვით მეფეა, დამითმია ტახტი მისთვისო. ვინცა სურდეს, ის შეირთოს, უარი ჩემგან როგორ ეთქმისო. აეთანდილი მეცა მიყვარს, ღმერთმა იცის, მისთვის კვედებო“. ტარიელსა გაეხარდა, ადგა მეფეს თაყვანი სცა.

ფრიდონიცა აეთანდილთან მახარობლად გაექანა. ამ ამბავის უკეთესსა კიდევ სცნობდა ვაჟი განა! წამოვიდა ბედნიერი, გამზრდელს ფეხთ ქვეშ დაუვარდა. ირცხვოდა და ხელმანდილით პირისახეს იფარვიდა. ააყენა როსტევანმა, მოეხვია, გარდაკოცნა. თან უბრძანა: „ნულარ ირცხვი, მალე შეეყრი შენსა მზესაო“. გვერდს დაისვა, ეხვევოდა, ცქერით ვერ გამაძლარიყო.

აეთანდილმა მოახსენა თავის გამზრდელ როსტევანსა. „ღროა ნახოთ, მოიწვიოთ, მიგველის მზის უნახავიო“. ადგენ ყველა ცხენზე შესხდენ კარვისაკენ გაეშურენ. მივიდენ და მეფემ ქალსა თავის დაკვრით უსალამა. მოეგება ქალი მეფეს, როგორც მამას უამბოხა. გააკვირვა ტურფამ ყველა სილამაზით შეფის მსლენი. როსტევანსაც გაუკვირდა, აქო ქალი და შეამკო. მერმე ყველა მიიწვია, სასახლეში წაიყვანა.

თინათინი სასახლეში ტახტსა ზედა ბრძანდებოდა. სკიპტრა-გვირგვინი, პორფირი მეტის-მეტად უხდებოდა. მისრულთა პირსა შეადგათ ელვა მისისა სახისა. გაჰკვირდნენ და თაყვანი სცეს, უსალამეს, ქება უთხრეს. თინათინიც ტახტიდგან ჩამობრძანდა სასალამოდ. ნესტან დარეჯანს აკოცა, მოეხვია მზის უნახავს. ამ ორი მზის ერთად შეყრამ დედა-მიწა გაანათლა. მოიკითხეს ერთმანერთი და საყვარლად ისაუბრეს. მერმე წამოდგენ ცოლ-ქმარი, თინათინს ხელი მოჰკიდეს. მიიყვანეს ტახტზე დასვეს, ავთანდილიც გვერდს დაუსვეს. სჯობდა ყოველ სანახავსა ერთად ყოფნა, მათი ჯდომა. შერცხვა, გაწითლდა თინათინ და დაუწყო გულმა ხტომა. მამამ უთხრა, ნუ ირცხვით, ადგა ქალღაფი დალოცა.

მერმე ბრძანა როსტყევანმა ავთანდილის თაყვანება: „ეს არისო მეფე თქვენი, ასრე იქმნა ღეთის ნებაო. ჩემდა სწორად ემსახურეთ, დაიჭირეთ ჩემი მცნებაო“. ლაშქარნი და დიდებული მოდრკეს, მდაბლად თაყვანი სცეს. ყველას ძლიერ გაეხარდა, ერთგულება განუცხადეს. ტარიელმაც ქება უთხრა და თინათინს მოახსენა: „მიხარია, რომ შეგყარეთ, აღარა გწვავთ ცეცხლის დებაო. ქმარი შენი ძმაა ჩემიო, მწადს აგრეთვე თქვენი დობაო“.

ავთანდილის და თინათინას დაქორწილება

დაქორწილდა არაბთ მეფე და დაბრძანდა ოქროს ტახტზე. ძმად იყო ტარიელი და დობილად მისი ცოლი. ქორწილი გადინადეს, გამოუთქმელი ენითა. ძროხა და ცხვარი დახოცეს სანადიმოდ უთვალავი. გაიმართა სმა და ჭამა, სამსახური ლაშქარისა. მსმელთათვის წყარო ღვინისა ვითა მილი სდიოდა. ჭიქებს ლალისას ხმარობდნენ და ჯამებს იაგუნდისას. ბინდიდან დაწყებული ცისკრამდის სმას არა სწყვეტდნენ. დამკვრელნი და მომღერალნი დაუტკობდნენ მსმენელთ ყურსა. არ დარჩენილა უბოძერად არც კოჭლი და არც საპყარი. მიდიოდა მარგალიტი მოფანტული, მონაყარი.

მეორე დღეს ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს ავთანდილმა უმსპინძლა და დაუდგა ცალკე ტახტი. დედოფალი და ავთანდილ

ქვემოდ დასდენ მათდა სწორად; ფრიდონიც გვერდით მოისევს, ვით მეფე თანა-სწორია. ინდოთა მეფე-დედოფალს მიართევს დიდი ძღვენია: თვითო სკიპტრა, პორფირი და გვირგვინები თვალისა, —ათასი თვალი, ნაშობი რომანულისა დედლისა და მარგალიტი ათასი დიდრონი, ვით კვერცხი ბატისა. ათასი ცხენიც მათ უძღვნა მზგავსი ძვირფასი რაშისა. ფრიდონს უძღვნეს ცხრა ტაბაკი მარგალიტით ავსებული და ცხრა ტაიჭი ძვირფასი, უნაგრითა შეკაზმული. ფრიდონი და ტარიელი დარჩენ დიდად მადლიერნი და პურადსა მასპინძელსა ორივემ ერთად თაყვანი სცეს.

მთელი თვე ერთად იყვენ, ლხინობდენ და ნეტარებდენ. ერთი თვე რომ გადახდა, ტარიელმა როსტევანსა აეთანდილ მიუგზავნა. შეუთვალა, ნება დამრთეთ, დროა ჩემი შინ წასვლისაო. როსტევანმა მოახსენა: „რად მერიდებით, ბოდიშობთ; რაც გიჯობდესთ ისა ჰქმენითო. აეთანდილიც თან იახლეთ, წადით ლაშქრითა დიდითო“. აეთანდილმა მიუტანა ტარიელსა ეგ ამბავი და თვითონაც ემუდარა, წამიტანე, გიანლებიო. ტარიელმა უარი უთხრა, გაუცინა, მოახსენა, „ახალ შეყრილსა მთვარესა, მზეო ვით მოშორდებით?“

ათანდილმა სთქვა, „მაგითა ნუ ფიქრობ, მოლორებასო, (მოტყუებასო), გინდათ წახვიდეთ, მიძრახოთ, ცოლი უყვარს, ვერ შორდებაო“. ტარიელსა გაეცინა, უთხრა, „წამყევ, რადგან გსურსო. მხოლოდ ცილსა ნუ შემწამებთ, ნუ ინებებთ მაგის თქმასო.“

ამას შემდეგ აეთანდილმა გამოაწვია ლაშქარი. ოთხმოცი ათასი კაცი, დარჩეული ცხენოსანი. ტარიელიც მოემზადა წასასვლელად ინდოეთში. დაღონდა მეფე როსტევან, ტირილით გამოეთხოვა. ორი მზის უნახავიც მოეხვიენ ერთმანერთსა. მკერდითა მკერდსა მიეკრენ, ყელითა გარდაჭდობილნი. ატირდენ და ცრემლს აფრქვევდენ, აატირეს მცქერალნიცა. კვლავ აკოცეს ერთმანერთსა, ტუჩი ტუჩსა შეაწვებს. გაშორდენ და აღთქმა დასდევს წიგნის წერით მოგონების. წამსვლელნი დარჩენილნი დიდხანს უტკვრდენ ერთმანერთს. ეძნელებოდათ მათ გაყრა და თვალს ველარ აშორებდენ.

სამი გმირი დიდი ჯარით გაემართენ ინდოეთში. მხიარული მიდიოდენ, გზაზე მინდვრად ისვენებდენ. პურსა სჭამდენ, ღვინოს სევმდენ, მომღერალნი იმღეროდენ. ინდოეთში რომ შევიდენ, მტრობა

ვერაინ ვერ გაბედა. მოეგებენ ტარიელსა, თაყვანი სცეს, იპატრონეს. ბუკსა ჰკრეს და იძახოდენ: „ესეაო მეფე ჩვენი“. მეფედ დასვეს ტარიელი, შვიდი ტახტი ჩააბარეს. ამ გვარად მას აღუსრულდა ყველა თვისი საწადელი. დაივიწყა ბედნიერმა გამოვლილი განსაცდელი.

ავთანდილ და ფრიდონისთვის ორი ტახტი დაამზადა. დასვე ორივე ხელმწიფურად და ნადიმი გადიხადა. გაიმართა სმა და ჭამა, სიმღერა და გახარება. ავთანდილს და ფრიდონ მეფეს ინდოელნი თაყვანს სცემდენ. ტარიელის შველისათვის აქებდენ და უმადლოდენ.

მოიხმო მეფემ ასმათი, მისთვისა თაედადებული და უთხრა: „რაცა შენ ჰქმენ, არ უქნია, არც გამზრდელსა, არც გაზრდილსაო. აწ ინდოეთს სამეფოსა მეშვიდესა ერთსა წილსა გიბოძებ და შენი იყოს; გემსახურებდი ტკბილი ტკბილსაო. ვინცა გწადდეს ქმარად შეირთვე სამეფოსა ეპატრონეო.“ ქალმა ფერხნი გადუკოცნა, თაყვანი სცა, დაუმაღლა. მონება და ერთგულება სიკვდილამდის განუტყადა.

ავთანდილ, ფრიდონ და ტარიელ ცოტა ხანს ერთად იყვენ. ილხენდენ და თამაშობდენ, მიუდიოდათ ძღვენი: ხან მარგალიტი ღარიბი, ხან უკეთესი ცხენია.“ მერმე ავთანდილს დაეტყო მოწყენა და დაღრეჯილობა. ტარიელმა შეამჩნია, რომ ცოლთან ეშურებოდა. არ დაიჭირა ძმობილი, თუმც გაყრა ეძნელებოდა. როსტევანსა გაუგზავნა მრავალ გვარი საჩუქრები. თინათინსა მისმა ცოლმა—ყაბაჩა და ერთი რიდი. თვალიც ძღვნადა გაუგზავნა, ერთი კაცი ძლიეს ზიდავდა. ფრიდონმაცა ავთანდილთან ერთს ღროს წასვლა მოინდომა. ტარიელმა ორივენი დიდი ამბით გაისტუმრა.

ფრიდონი და ავთანდილი პირველ ერთად მიდიოდენ. ღრო მოვიდა, გაიყარენ და წავიდენ სხვა-და-სხვა გზით. ავთანდილი თავის ლაშქრით არაბეთში გაემგზავრა. გამზრდელი და დედოფალი მხიარულად მიეგებენ. გამოეგებენ არაბნიც, სამეფო დაამშვენა მან.

ამას შემდეგ ავთანდილი, ფრიდონი და ტარიელი სიკვდილამდის ისე იყვენ, როგორც საყვარელი ძმები. მეფობდენ და განაგებდენ სახელმწიფოს, როგორც ბრძენნი. როცა მტერი რომელსამე მათ სახელმწიფოს მოადგებოდა, მაშინვე ერთმანერთს დაეხმარებოდენ და ერთმანერთის შემწეობით მტერს იგერებდენ. მათი ერთობა და კავშირი სამაგალითოდ დარჩა ქვეყნისათვის.



საღმრთო ლექსი

(გაგონილი და ჩაწერილი ი. გომელაურის მიერ)



საღმრთო თქვა: — მეც შეკუთვნის
ჩემი წილი სამართალი:

უვალა ჩემგან გაკეთდება:
ცელი, ცული და ნამებალი,
კაბი თოფი, კაბი სძალი,
იარაღები სასძარი...

ნასძირს ბაძბა აღუდგება,
დასძირს ბაძბამ თეთრი წვერი:
— ცოცხალ კაცს ტანსუდ ჩაუყვამი,
მოკვდება, ვარ შემსუდგრელი.

ფუტკარი წინ წამოდგება:
— მე რითა მჯობს ფერი თქვენი?
ჩემ ბაღჩაში გადმოხედეთ,
თაფლი ბეჭი, შაქრის წვენი...

სანთელი და კელაპტარი
ღმერთთან დიდი მიდის ჩემი.
ამათ ჰური მოახსენებს:

— მე რითა მჯობს ფერი თქვენი?
მიუერეთ მკათათვემია,
როცა მოვიღერო უელი;


წამომიცვივდენ ბიჭები,
 სამგლებს წამოაუღონ ხელი!...
 ამას ცხვარნი ითაკილებს,
 კოჭ-დანბალი, გავა სქელი:
 —ოთხ-კუთხეზედ ვიზარსები,
 მესუთეზედ კვერი ყველი,
 ბაკის კარზედ მიმდგარი ვარ,
 შიგნით ბატკანს გამოველი,
 ჰატრონს ვალებს დავაშორებ,
 ჩაუყურე ფული ბეჭდი....

(მისგანვე გაგონილი)

მხას უთხრეს მგლისა სიკვდილი,
 დაიფრუტუნა, გაიქცა.
 —თხაო, რად გავხარებია,
 განა სამგლეთი დაიქცა?
 მგელს დარჩებოდა ლეკვუნა,
 ის შეგაშინებს ძანცა!...



მამაცი ზღარბი



მარწვევი სქლად იზრდება ტყის ჰირას, ფერდობ-ზე. ემაწვილებს ძლიერ გაენარდათ, როდესაც ასეთი ადგილი იპოვებს. ამათ მუჭები დაივსებს მარწვევით და ამასთანავე ერთმანეთს მხიარულად დანაბლეს: «ხვალ ჩვენ შემოდ ავიდეთ და სულ ერთიანად დაგვრიფოთ მარწვევიო!» მაგრამ იქ, ძაღლა, გესლიანი გველი დასრიალებს სოლმე სანადიროდ. თუძვა იმის გამოცნობა თავის მოძავო ზოლებით ზურგზე და სწილენძის ფერი ტყავი ძნელი არ არის, მაგრამ ემაწვილებმა, ვინ იცის, ვერც კი შეჭნიძნონ და ახლოს მივიდენ მასთან; გველის დაკბენით ხომ სიკვდილიც ადვილად შესამლებელია. მამ ვინლა დაიფარავს ემაწვილებს?

* * *

ასწლოვან მუსის ძირში, ბუჩქად ამოხეთქილ ელორტებს ქვეშ, სის ფუღურია. ის საგანგებოდ მოფენილია ხავსით და ბალახით. ეს ზღარბის ქვეშსაკებია. იგი მორგვალეულია ბაძბის ქულასავით და მთელს დღეს სძინავს. საღამოს, როცა ემაწვილები შინისაკენ მიი-სწრაფიან დასამინებლად, ის იღვიძებს, გა-იძლებს წელში თუ არა, მოჭყეება მთქნარე-ბას. აი, გამოვიდა კიდევაც ზღარბი. მისი ზაწაწა თავი, ხორთუმივით მოყვანილი დინგით, გულკე-



თილად და ცნობის მოყვარეობით გაძოციერება აუარებელს
 წვეტიან ეკლებს შორის. მთელი გორგოლაჭი სსეული ზღარ-
 ბისა დაფარულია ამ გვარის ეკლებით, რომელთაც ეოველი
 მხრისაკენ ამოუშვერიათ წვეტები. ამ სახით ზღარბი უფრო
 მოგვაგონებს შვეიცარიას ვიდრე სხვას.

* * *

მთვარემ ხეებს შორის დაბურულ ტყის სიბნელეში აქა-
 იქ სინათლე შეიტანა; ფრინველებს სძინავს. ტყეში ბნელა,
 მაგრამ ზღარბს არ ეძინია. იმის ახლოს კვერნამ ჩაიარა,
 წარნაშობაც ჩაიფრთხილა, მაგრამ ესენი არ ერჩიან ზღარბს:
 ესენი ჭხედვენ იმის წვეტიან ეკლებს, ტყის მახლობლად
 ბაღასია, ზღარბი შეძვრა იქ და ეძებს, ხომ არ ჩამოვარ-
 დნილა სიღამ მწიფე ვაშლი, ანუ მსხალი. იმან იქ ვერა-
 ფრით ჩაიტკბარუნა ზირი და ცალიერი მუცლით დაბრუნდა
 უკანვე. უცვრად შეჩერდა ზღარბი: რაღაც თავისებურმა
 სუნმა მიიქცია იმისი ყურადღება. სქელს ბუჩქსედ სხედან
 ცოფის ჭიები. კაცმა თუ განსჯელიტა ხელით ეს ჭიები,
 ერთიანად აეფუთქება და მწარედ ასტკივდება. ცხოველმა ანუ
 კაცმა, რომ გადაჭელაზოს ცოფის ჭია, ისინი მაშინვე მთელს
 სსეულში ნამეტანს ტკივილს იგრძნობენ და ჩქარად მოკვდუ-
 ბიან დიდს ტანჯვა-ვაებაში. ზღარბი კი ცოფის ჭიებს სრუ-
 ლიად უვნებლად მიირთმევს სოლმე.

* * *


თენდება. ზღარბი ძირბის უკან ტყეში. იგი ჯერ მშოი-
 რია; იმან თაგვი-წრუწუნას დაჭერაც არ ახვედრა ბედმა. აი,
 შეჩერდა ფერდობზე, სადაც მარწვი აძოდის. იმან შხამი-
 ნი გველის სუნი იგრძნო, გველი ღამის სიცივის ძორი-

დებით ხავესში ჩამალულა. გველსა და ზღარბს შუა ციცაბი დადმართია. მამაცი ზღარბი შეიკუმმა ქულის მსგავსად და თავდადმართსე გადაგორდა. მაგარი, მოუსნეჟავი ეკლები ზღარბს იფარვენ დამტვრევა-დაჩეხისაგან; აი, იგი ძირსაა. გაიშალა და მიდის თამამად გველთან. შეჭნიშნა გველმა ზღარბის მოახლოვება, მოიბრუნა ტანი და სწრაფად ასან-სალებს ენას. ამის ზაწაწა თვალები ანთებულა ბორბოტუბით. ზღარბი დაუყოვნებლივ მივარდა გველს. გველი იკლავ-ნება ხან აქეთ და ხან იქით, აფრინდება თავის შხამიანი ბასრი კბილებით ფეხებსა და თვალებში. სხვა ყოველ-ნაირი ცხოველი მოკვდება ასეთი შხამიანი დაკბენისაგან; მაგრამ ზღარბისათვის კი ეს უვნებელია. იმან სტაცა ჰირი გველს და თავისი მასვილი კბილებით დაჭკლიჯა სასიკვდილოდ.

* * *

ლაქვარდს ცაზე მსე აიწია; ნამი ბალახიდან ჭაერმა შეიწუწა. მოვიდენ, ბოლოს, ემაწვილებიც მარწუვის დასაკრებათ. იმათ ეჭვიც კი არ აიღეს, თუ როგორი საშინელი სიფათისაგან დაისხნა ისინი ზღარბმა.

ივ. გრიგოლიძე





ჩვენის ძველი გმირები

XIII



მარნაოზის ღროს მოხდა დიდი ცვლილება წელიწადების
 თელაში. პონტოს მეფემ მირდატ პირველმა დაამარცხა
 საბერძნეთის მეფე და გაათავისუფლა სამხრეთ-დასავლეთის
 ქართველთა ერი, რომელიც პონტოსა და კაპადოკიაში
 ესახლა. ეს ქართველი ერი დაყოფილი იყო მრავალ გვარებად და
 უძველეს ღროდგან ცხოვრებდა შავი ზღვის პირად. თითოეულ ამ
 გვარებს თავთავის მეფეები ჰყავდა. ეს მეფეები იწოდებოდნენ მამასახ-
 ლისებად; მაგრამ მცხეთის მამასახლისის იმათაც უფროს მამასახლისად
 მიაჩნდათ. მირდათ პირველმა, მაკრონების მამასახლისმა, შეაერთა ყვე-
 ლა იქაური გვარები და წინააღუდგა ანტიპატროსს მეფეს, რომელსაც
 მანამდის ემორჩილებოდნენ კაპადოკიისა და პონტოს ქართველთა გვა-
 რებიცა. ამ სახით თარნაოზმა რომ იაზონისაგან განათავისუფლა აღმო-
 საველეთ-ჩრდილოეთის საქართველო. რომელიც მდებარებდა მტკვრისა,
 რასხისა (არაქსის), ჭოროხისა და რიონის ქალებზე, მირდატ პირველმაც
 იმ გვართვე განათავისუფლა მაკედონელებისაგან დანარჩენი ქარ-
 თველთა ტომის გვარები, მცხოვრებნი კაპადოკიაში და პონტოს ქვე-
 ყანაში. ეს ამბავი ისეთი სასიხარულო იყო მთელი საქართველოს ერის-
 სათვის, რომ ეს წელიწადი სრულიად ქართველთა ერის განთავისუფ-
 ლებისა დასდევს ქორონიკონად და ამ დღიდან დაარსდა ქართვე-
 ლების ხუთასეული წელიწადთა თელა, ანუ ქორონიკონი. ეს მოხდა
 284 წელს ქრისტეს შობამდის. ამ წლიდგან დაიწყო ქართველთა

ჩვენი ძველი გმირები

ერის მოდგმამ წელიწადების აღრიცხვა. აქაც ქართველებმა მიზაძეს ეგვიპტელებს, რომელთაც დიდი ხნიდან ჰქონდათ დადგენილი ხუთასი წლის მოქცევა. ქართველების ხუთასეული შეიცავდა ხუთას ოცდა თორმეტს წელს. ეს რიცხვი შემდგარი იყო მთვარისა და მზის მოქცევითა. მთვარის მოქცევას ანგარიშობდნენ ოცდა რვა წლით და მზის მოქცევას ცხრამეტი წლით. ცხრამეტი რომ ოცდა რვა ჯგუფს გამოეყო, გამოევა ხუთას ოცდა თორმეტი, რომელიც შეადგენს ქორონიკონის მოქცევას. როცა ხუთას ოცდა თორმეტი წელიწადი გავიდა, მერე ხელახლა შეუდგებოდნენ წელთა თელას. ამ სახით თუ ვიანგარიშეთ მირდატის გამარჯვებიდან, ჩვენ ვდგევართ მეოთხე ქორონიკონის მოქცევაში, რომელიც დაიწყო 1844 წელს და თუ ვიანგარიშეთ სოფლის დასაბამიდან, მაშინ ჩვენ ვიღებებით მეოთხმეტე ქორონიკონის მოქცევაში.

მირდატ პონტოელისა და ფარნაოზ მცხეთელის გამეფებამ ძალიან გააძლიერა საქართველოს ერი. ამიერიდგან ეს ორი სამეფო ტახტის მეფეები მუდამ ერთად მოქმედებდნენ საბერძნეთისა და რომაელების წინააღმდეგ. ამათმა ძალამ, შეასუსტა რომის ძლიერება. ამ დროსვე გაძლიერდა პართელების სამეფო, რომლის მეფე არშაკ პირველი სომხეთის მეფეც შეიქნა და საკუთრად სომხეთში გაამეფა თავისი ძმა ვაჰარშაკი. ეს იყო ფარნაოზის მედროვე გმირი, სომხეთის გამძლიერებელი. ის შეუკავშირდა საქართველოს მეფეს ფარნაოზს და პონტოელ მირდატებს, ანუ მიტრიდატებს. უკანასკნელად მან სულ ბოლო მოუღო მაკედონელების ბატონობას პონტოსა და კაპადოკიის ქვეყნებში. მაშინ მაკედონელების წინამძღოლად გამოჩნდა ერთი ბერძნის გმირი. ვაჰარშაკმა დაამარცხა იგი ბრძოლაში და თავის ხელით მოჰკლა. ამ დროებში ისეთი საშინელი ჭლეტა-მუსერა შეიქნა კაპადოკიაში, რომ მხეცი და ნადირიც კი გაფთხა იმ ქვეყნიდან. ურიცხვი ტყის მხეცი: ირემი, შველი და ველური ღორი გადაიხვეწა კაპადოკიის მდინარის ჭალებიდან ჩრდილოეთისკენ. იმისგამო უანგარიშო ჯოგი ველური ღორებისა მოვიდა ქორახისა და რიონის ჭალებზე. ეს მოხდა მეორმოცე წელიწადს ქართული ქორონიკონის პირველ მოქცევისას, ანუ 244 წელს ქრისტეს შობამდის.

XIV

არც იყო გაზაფხულისა. მთვარის მეცხრამეტესა დღესა მცხეთის სატახტო ქალაქში შეიქნა დიდი მოძრაობა. მოვიდა ჯარი მეფის ბრძანებით. სიმღერა, ბუკ-დაფის ცემა და წინწილას ხმაზე ჩაკეურის თამაში ამხიარულებდა სამთავრო ქალაქს. მეფის საგაეაზოში ისმოდა არწივების ყვილი, რომელნიც თითქოს გრძნობდნენ სანადიროდ გამგზავრებას. ამათ უერთდებოდა მეძებრებისა და მწვერების ყეფვა-წკმუტუნნი. ხან და-ხან მოისმოდა სხვა-და-სხვა ხმით ფხუილი ღვეპარდისა, ანუ კატა-მწვეარასი. ეს ცხოველი შეხედულობით ნამდვილ კატას მოაგონებდა კაცსა, მაგრამ ტანითა და კუდით ჰგავდა დიდ ძაღლსა. იმათ ასწავლიდნენ ნადირობას და მუდამ ჯაჭვებით ებათ. მეფე ფარნაოზის საგაეაზოში იყო ორმოცდა ათი გაწვრთნილი ღვეპარდი, ანუ კატა-მწვეარა. ამ ცხოველს არ მოუჩივებოდა არც ირემი, არც ჯვირანი, არც ველური ღორი წაუქცეველი, თუ რომ შემოკრავდა თათსა. ეს ცხოველი ზნით ავი იყო. ჰქონდა ვეფხსავით ბასრი კბილები და ბრჭყალები. ამისთვის სანამ ნადირს არ დაანახებდნენ, მანამ პირი ჰქონდა თასმებით შეკრული. როცა დაანახებდნენ ნადირს, მაშინ პირიდან მოხსნიდნენ თასმებს და ღვეპარდი იმ წამსვე კატასავით გაინახებოდა, ცოცვით მიეპარებოდა ნადირს და შეახტებოდა ზურგზე, დაჰკრავდა თათებს და ძირს დასცემდა.

ამ მონადირე ცხოველებისთვის ფარნაოზს ჰქონდა თავის საგაეაზოში ორმოცდა ათი მსუბუქი ეტლი, ორ-ორ თვლებიანი. იმათში გაუბამდნენ თითოს ანუ ორ ცხენს, ზედ შედგებოდა მონადირე, წინ ეტლში ანუ როლში, როგორც მაშინ ეძახდნენ იმისთანა ეტლებს, ჩაისვამდა ღვეპარდს, ანუ კატა-მწვეარას, ჯაჭვით როლზე მიბმულსა და გაემგზავრებოდა სანადიროდ.

ფარნაოზს ძალიან უყვარდა ერთი ამ კატა-მწვეარათაგანი, რომელიც სიდიდით მეგლზე მეტი იყო და ტანზე ლამაზი ხატაველი. ბევრჯელ გაემხიარულებინა მეფის გული ამ ცხოველს. იმას ჰყავდა დაჭერილი თავის სიცოცხლეში ორმოცდა ათი ირემი, ასი ღორი, სამოცი ჯვირანი და ოცი შველი.

ჩვენი ძველი გმირები

მეფეს ისე ჰყავდა ეს მხეცი მოთენიერებული, რომ ხშირად პირ-მეუყვრელი ძალღსავით უკან დაჰყვებოდა. როცა მეფისთვის შეაბამდნენ სანადირო როლს, კატა-მწვეარა წინ-დაწინვე ჩახტებოდა შიგ ფხუილ-ღრუტუნით; ის მეფის მოფერებაზე აიქოჩებოდა და კატასავით ფეხებზე ეხახუნებოდა კულ-აბზეკილი. ამ კატა-მწვეარას მეფე ეძახოდა „ყურშავ“,*) რადგან ცალი ყური შავი ჰქონდა.

ფარნაოზ მეფეს მოსელოდა წერილი თავის სიძე ქუჯისაგან, რომელიც სწერდა: მრავალი ღორი და ირემი მოვიდაო და სანადიროდ წავიდეთო. ფარნაოზსა შეეკრიბა ჯარი: აზნაურნი ოთხი ათასი კაცი სხვა-და-სხვა მხრიდან: ტაოხიდან, კოხეთიდან, ალანეთიდან, არანიდან და ოსეთიდან.

ტაოხები ძალიან გაწაფულნი იყვენ შეილდ-ისრით ნადირობაში. იმათ ჰქონდათ მოკლე სანადირო შეილდ-ისარი. ტაოხელნი მონადირენი იწოდებოდნენ გამრეკლებად, რადგან მათი დანიშნულება იყო, შემოდგომოდნენ სანადირო ველს, ანუ ტყეს, ყვირილ-კიჟინით დაეფთხოთ ნადირი და წინ გაერეკათ. იმათ თან დაჰყავდათ სამეფო ძაღლები; მათი უფროსები ისხდნენ სანადირო როლებში და თან ჰყავდათ ღვეპარდები, ანუ კატა-მწვეარნი. როცა მორეკდნენ ტყეს და ნადირი ადგებოდა, ისინი, საცა კი თვალს მოჰკრავდნენ, თითო-ოროლა ნადირს, მაშინვე ესროდნენ ისარს და ძვირად დააცდენდნენ. ტრიამელ ველზე თუ შენიშნავდნენ ან ჯეირანს, ან ირემს, მაშინ კი ხმას გაიკმენდნენ, ჩამოასხამდნენ როლიდან ღვეპარდებს, მოხსნიდნენ პირიდან თასმებს და დაანახვებდნენ ნადირს. ღვეპარდებიც კატასავით გაინახებოდნენ მიწაზე და ცოცხლად მიეპარებოდნენ ნადირს. თუ სამ გადახტომაზე ვერ დაიჭერდნენ, მერე კი აღარ გამოუდგებოდნენ და ღრენით დაბრუნდებოდნენ პატრონისკენ.

კოხელი მონადირენი, ალაზნის ხეობიდან მოსულნი, ძალიან გაწაფულნი იყვენ ღორის ნადირობაში. ისინი იყვენ სანადირო შუბებით და გძელი ხანჯლებით შეიარაღებულნი. ღორზე ნადირობა მეფე ფარნაოზსაც უყვარდა და მრავალი იყო მეფე ფარნაოზის ნადირობის

*) სვანეთში დღემდის დარჩენილია სიმღერა „ყურშავ“ მონადირე ძაღლისა.

სურათი იმ დროს ვეცხლისა და თიხის სურებზე გამოქანდაკებული, ან წამლებით დახატული.*)

ალანეთის მონადირეებს ჰქონდათ ქეიბურები, ანუ შვილდ-შურდულები. ეს იარაღი შესდგებოდა მოხრილ რკინის შვილდისაგან, რომელსაც თასმა ჰქონდა ფამფოთ გაბმული და თასმას შუა ქვის ჩასადები ქსოვილი იყო მოწყობილი. ქსოვილში რომ ქვას ჩასდებდენ, მოსჭიმავდენ ხელით შვილდს და იგი შორს გაისროდა. ალანელი მონადირენი დარღისა და თერგის ხეობისანი ისეთი დახელოვნებულნი იყვენ, რომ ნადირს ქვას არ ააცდენდენ თავში, ან თვალში. განსაკუთრებით დიდ ფრინველებს ჰკლავდენ შვილდ-შურდულათი.

არანელი მონადირეები იყვენ შეიარაღებული ჭოლოკებით. ჭოლოკი იყო ხისა, არშინ ნახევარი სიგრძე, ცოტა შუაზე მოხრილი და ერთ თავზე კომბალი ჰქონდა. ამ ჭოლოკებით ჰკლავდენ ძალიან მარადად გაფრენილს ფრინველს, ან ფეხებს მიაშტვრევდენ გაქცეულ ნადირს, თუ მოხვდებოდა. არანელები ძალიან დახელოვნებული იყვენ ჭოლოკების სროლაში. ფარნაოზსაც უყვარდა ჭოლოკით ნადირობა, როცა ტბაზე, ან მდინარეზე დადიოდა ნავით გარეული ბატების, გედების და იხვების სანადიროდ.

ფარნაოზმა წაიყვანა ოთხი ათასი მონადირე ბაზიერთ უხუცესის წინამძღოლობით. იმათ აედევნა უკან მეფის ტაძრეული, ანუ ბარგი, წაიღეს ბამბის კარვები, სამზადისი მრავალი, სამეფო ჭურჭელ-იარაღი, სულ ორასი ჯორ-კიდებული. ბაზიერთ უხუცესს თან მიჰყავდა ასი ქორი, სამოცი შევარდენი, ოცდა ხუთი არწივი სამასი ძაღლი, ორმოცდა ათი ღვეპარდი.

მეფე ფარნაოზი ჩაბძანდა ოქროთ მოჭედილ როლში; მისი საყვარელი „ყურშავი“ წინდაწინ ჩაუხტა. მარცხენა ხელში ეჭირა ქრუნი შევარდენი და განეწყვენ ასე ამ წესით გამგზავრებას. წინ მესაკრავენი ბუკისა და საყვირების კვრით მიდიოდენ. ისინი გაეშურენ ლიანგე-წონის ფენეკა-გზითა*) და ჩავიდენ ცხინვალისა და წონის ხეობით ყვირილის ხეობაში ჭოგნარამდის, საცა ყვირილა და რიონი ერთმანეთს უერთდებიან. აქედან მეფე და მისი ამა-

*) ერთი ამ გვარი ვეცხლის სურა, სადაც დახატულია მონადირე, რომელიც ველურს ღორსა ჰკლავს, ნახეს მცხეთის სამთავროს სასაფლაოში და ახლა ეს სურა ერთგულად იბრუნა.

*) ფენეკი ქვა-ფენილია.

ჩვენი ძველი კმობები

ლა ჩასხდენ რიონზე მოყენებულ კატარღებში, ანუ აფრიან*) ხომალდებში და ჩავედენ ფაზის ქალაქში, სადაც ქუჯი თავის ამალით შემოვეება მეფეს, სანადიროდ გამოწყობილი. აქედან კატარღებითვე წავიდენ მეფე და მისი სიძე, მათი ამაღებინა, შავი ზღვით და შევიდენ ჭოროხის ნავსადგურში. იმათ დააწყეს ასე, რომ ჭოროხიდან მოენადირათ ქობულეთის ქვეყნები, გადმოსულიყვენ რიონის ჭაღებზე და მოსულიყვენ ბედლის სატახტო ქალაქში, სადა ქუჯი ერისთვის ადგილ-სამყოფელი იყო. ნადირობა გაგრძელდა თვე-ნახევარი.

მეფეს შეხვდა ჭაობიან და წყლებიან ადგილებში ყოფნა. ხშირად მოხდებოდა, რომ ამისთანა მანებელს ალაგებზე ღამის გათევაც შეემთხვეოდა. მაგრამ ასეთი უსიამოვნება მეფისა ჯილდოვდებოდა მშვენიერი ნადირობის სერიით. არწივებს ერთიც არ წასვლიათ შევლი და კანჯარი. მეფის არწივი ერთხელ ხარ-ირემს დააფრინდა თავზე და ორის ნისკარტის დაკვრით კეფის ძვალი აუხეთქა; ირემი უსულოდ დავარდა მიწაზე და არწივმა თბილი ტენი ამოსჭამა. მეტად შესაქცევარნი იყვენ ღვეპარღების ნადირობა და იმათი კატურ-ვეფხური ბრძოლა ღორებსა და ირმებთან.

მეფე მეტად მხიარულად ატარებდა დროს; მაგრამ როცა ბედლის მიბრძანდა და დაისვენა, მეორე დღეს რაღაც შეუძლობა იგრძნო და თავი მომეტებულად ასტკივდა. ჯარმა მოიწყინა და ქუჯი ერისთავი ძლიერ შეწუხდა. ფარნაოზის დამ, ქუჯის ცოლმა, როგორც განვითარებულმა ვარსკვლავთ-მრიცხველობაში და მკითხაობის მეცნიერებაში, ვერ ნახა კარგი ნიშნები მეფის ავადმყოფობისა. იგი წამის წამ შეჰკითხავდა ცასა და თავის სამოგეო წიგნებს; მაგრამ არც ცა უხსნიდა წარბს და არც წიგნები პირსა. თუმცა თავის ქმრისა და ძმის წინაშე იგი იყო მხიარულად და მოციინარე სახითა; მაგრამ როცა ცალკე დარჩებოდა, მაშინ შეიკეტდა კარს სასახლეში, მიეცემოდა უზომო მწუხარებას და ცრემლებს ღვრიდა. საეჭვოდ აღარ იყო, რომ მეფე მოხდომილით გამხდარიყო ავად და დიდი იმედი აღარ ჰქონდა მისი მორჩენისა. მეფე ფარნაოზი ჩავარდა სიცხეში და ბოდავდა. თავზე სველ სარდონის ტილოებს აფარებდენ, მაგრამ სიცხეს მაინც თან-და-თან უმატებდა. ბოლოს მეფის დამ

*) აფრა—ტილოს იალქანი.

მოიწვია მკურნალობაში განთქმული დედათა-ქურუმნი, დასდნენ მეფის საწოლის თავით და ფეხთით; აიღეს ოქრო-ქსოვილი და აბრე-შუმ-ნარევი სარტყლები, გაზომეს მეფის ტანი, შეკეცეს ოთხ-ნაწილად და შეულოცეს შემდეგი:

„სახელითა არმაზისა, ზადენისა და ანაიტისათა. მოხდენილო დედინო, მოხდენილო მამიანო, შეილიანო. საიდგან მოხდომილხარ?... ზეციდგან მოხდომილხარ, ჰაერიდგან, თუ დედა-მიწიდგან?... შიშზე მოხდომილხარ, თუ სიხარულზე?... რას ჩადგომილხარ კაცის ტანში, რას ახტუნებ, რას აცხელებ?... გამოდი, გამოეყარე. ძვალში იყო, რბილში გამოდი და რბილიდგან სულ გამოეყარე... შენ დედასთან მიდი, შენ მამასთან მიდი. მე ვარ მლოცველი არმაზისი. არმაზის მახვილო დაფრთხე ავი სული. ავადმყოფს არგე ამით“.

ამ ლოცვას შემდეგ დედა-ქურუმმა გაზომა ოქრო-ქსოვილი სარტყლით მეფის გვამი ოთხივე კუთხით და კიდევ დაიწყო საიდუმლოდ ლოცვა.

შემდეგ შეულოცა მეორე დედა-ქურუმმა თვალ-ნაცემისა:

„აღისა, მალისა, შეგილოცავ თვალისასა, შინაურისასა, გარე-ულისასა, აღონანისასა; ბელიარისასა და ყოველთა ავთა მტერთა: ტანტალთა და ძაღლთა-პირთა. გასკდა შავი კლდე, გამოვიდა შავი კაცი, გამოჰყვა შავი ცხენი, ზედ ედგა შავი უნაგირი, დაადგა შავსა გზასა და ჩავიდა შავსა ზღვასა. გადუყო შავი ფარჩხი, ამოყვა შავი გველი, გადაგვარ ჯოხი სიასა ქვასა; ისემც გამწყვარა, ისემც გამქრალა, როგორც ქვებში ჭინჭარი, ავადმყოფის ავად შემომხედავი. ეისიც თვალი ეცა, ისე სჰკნებოდეს, ისე ხმებოდეს, როგორც ხის ქერქი. გაიარა ეზო, მოიტუნა თემო, გაიარა საბძელი, დაეგო თვალი სამხერი. აგრე და!... მოუხდინე არმაზო და მარხ ლოცვა ჩემი, ნება თქვენი თქვენსა ძესა ფარნაოზსა ზედა“.

როგორც რომ ეს ლოცვა გაათავა, მაშინვე შეუბერა სული დედა-ქურუმმა მეფეს სახეზე, მკერდზე, ხელებზე და ფეხებზე. მაგრამ არასფერმა წამლობამ, არასფერმა ლოცვამ ფარნაოზ მეფის ავად-მყოფობას არა უშველა-რა. მეფე მისუსტდა, მიიბნინდა, ცნობა დაეკარგა. სასახლიდან გამოვიდა ცუდი ამბავი. შიკრიკები აფრინეს მცხეთას დედოფალთან...

ს ა მ ე ა რ ი

თავი მეხუთე

დედაბაწახედ მცხოვრები კრი.



ავშებები ისე გაერთვენ რუკების სინჯვაში, რომ მთელ თავისუფალ ღროს სხვას აღარას აკეთებდენ. ერთი ქვეყნიდან მეორეში მოგზაურობა ძალიან ართობდა იმათ. მარტო ის უკვირდათ ვერ მიმხედარიყვენ, თუ ერთფერი წამლით რატომ არ არის დახატული ყველა ქვეყნები? რაკი თვითონ ვერ გაიგეს ამის მიზეზი, მამას მიმართეს და ჰკითხეს?

— განგებ არის ეს ქვეყნები სხვა-და-სხვა ფერის წამლით—მიუგო მამამ: მაგ წამლის ფერით შეგიძლიანთ ადვილად გაიგოთ მცხოვრებთა ფერი.

— განა სხვა-და-სხვა ფეროვანი არიან ერნი? მაგალითად, შავი, ყვითელი და წითელი?—გაიოცეს ბავშვებმა.

— არიან მოყვითალო ფერისაც, მოწითალოსიცა და შავიც. ისეთი ფერისანი არიან, როგორი ფერიც ამერიკასა აქვს.

— ამერიკაში მარტო წითელი ფერის ერი ცხოვრობს? იკითხა ტასომ.

— ახლა თეთრი ხალხი გაცილებით ბევრია წითელზედ, მაგალითად, ჩრდილოეთ-ამერიკაში, თეთრი ერი გაცილებით ბევრია წითელზედ; თეთრების გადმოსახლებამდის კი, მთელ ამერიკაში ცხოვრებდენ წითელი ხალხი, რომლებსაც ინდოელებს ეძახიან.

როდესაც ამერიკა აღმოაჩინეს თეთრმა, ანუ ევროპიელმა ხალხმა, მთელი ამერიკა შემოიარეს და ყველგან მარტო წითელი ხალხი ანუ ერი ნახეს.

ინდოელებს ეძახიან ამერიკის მკვიდრ ხალხს, ან ველურს, რადგანაც ისინი ტყეში ცხოვრებენ, ნადირობის და მეთევზეობის მეტი არა იციან რა და აქამდის ვანათლებულ ერს არაფერში ჰბაძავენ.

ამ ველურ ერს ერთი კაი თვისება სჭირდა: იგი იყო მეტისმეტი სტუმართ-მოყვარე, ე. ი. დიდი სიამოვნებით მიიღებდენ ხოლმე უცხო კაცს, ასმევდენ, აჭმევდენ და მოასვენებდენ; ამას გარდა ისინი იყვენ მეტის მეტი გულწრფელი, გულახდილი და კეთილშობილი.

ამერიკელ ინდოელებზედ შემდეგ იყოს, ახლა კი მე მინდა სხვა რამ გიამბოთ. მე მგონია, მიხედვობდით, რათ არის ევროპა თეთრი?

— ამისათვის, რომ ევროპაში თეთრი ერი ცხოვრობს, მიუგო დათამ.

— მაშ აფრიკაში მარტო შავი ხალხი ცხოვრობს?—იკითხა ტასომ.

— არა, მარტო შავი ხალხი არა ცხოვრობს, მიუგო მამამ. შუაგულ და სამხრეთ აფრიკაში ცხოვრობს თითქმის მარტო შავი ხალხი, რომელთაც ზანგებს ეძახიან. ჩრდილოეთ აფრიკის მცხოვრებნი ცოტა მოთეთრონი არიან ზანგებზედ. ამას გარდა აფრიკაში ცხოვრობს თეთრების მცირედი ნაწილიცა.

— ავსტრალიაში ისეთივე შავი ხალხია, როგორც აფრიკაში? იკითხა დათამ.

— ავსტრალიის ხალხი, მართალია, ისეთივე შავები არიან, როგორც ზანგები, თუმცა განირჩევიან კი იმათგან. იმათზე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

— მაშ აზიაში მარტო ყვითელი ერი არა ცხოვრობს?—სთქვა ტასომ.

— მართალია ყველანი ყვითლები არ არიან,—მიუგო მამამ—აზიაში მომეტებული ნაწილი შავ-ყვითელი ფერის ერი ცხოვრობს; ევროპის მხარეს კი თითქმის სულ თეთრი ხალხია და ძალიან ლამაზიც; მაგალითად, ჩენი ქართველები ძალიან ლამაზი, პურადი და გულწრფელი ერია.

— კუნძულებზედ მცხოვრები ერი რაღა ფერისაა?—იკითხა დათამ.

— ეს ძალიან კარგათა სჩანს რუკაზედ: მშვიდი, ანუ დიდი ოკეანის კუნძულებზედ ცხოვრობს მოწითანო ფერის ერი; ავსტრალიის ახლო მდებარე კუნძულებზედ—შავი. ატლანტების ოკეანის კუნძულის ერის ფერი კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ ქვეყანაზედ

არის კუნძული ახლო. ევროპის მახლობელ კუნძულებზედ სულ თეთრი ერი ცხოვრობს.

— თეთრებს გარდა, ყველა სხვა-და-სხვა ფერის ხალხი ველურია?—იკითხა ტასომ.

— ყველანი არა. ზოგიერთნი ჩვენსავითა ცხოვრობენ: ჰყავთ ხელმწიფე, ხენა-თესვას, მრეწველობას მისდევენ და სხვა.

— ეს რილასგან არის, რომ ზოგ ქვეყანაში შავი ერია, ზოგში წითელი და ჩვენში თეთრი?—იკითხა დათამ.

— ძალიან ძნელია შენ კითხვაზედ პასუხის მიცემა,—მიუგო მამამ. რასაკვირველია, უფრო მზის ბრალია მათი სხვა-და-სხვა ფერი. ზაფხულში, როცა ჩვენში ძალიან ცხელა, მზე გვეკიდება, ვშავდებით.

— შენა სთქვი, რომ ველური ხალხი ნადირობითა და თევზის ჭერითა ცხოვრობსო, უთხრა დათამ,—რითი ხოცვენ ნადირს? იმათაც ისეთივე თოფები აქვთ, როგორც ჩვენა?

— იმ ველურ ხალხს, რომელიც თეთრებთან, განათლებულ ერთან ახლო ცხოვრობს, ჩვენებური თოფები აქვს და ხმარებაც იცის, ბევრმან მათგანმა კი არც კი იცის, რა არის თოფი. ნუ იფიქრებთ, რომ ყველა ველური ხალხი ერთმანერთსა ჰგვანდეს. არა, ისინი ერთმანერთისაგან განირჩევიან როგორც ფერით, ისე ზნე-ჩვეულებით და იარაღით. ზოგი მათგანი ხმარობს შვილდ-ისარს, ზოგი — შუბს, ზოგი-შურდულს და ქამანდს.

— კაი ხალხია ეს ველური ერი თუ ცუდი?—იკითხა ტასომ.

— ბევრი იმათგანი კეთილი, სტუმრის მოყვარეა და თეთრებთან მეგობრულათაც არიან; ზოგიერთნი კი მტრული თვალით უყურებენ. ამისთანა ერები სანდონი არ არიან და კაცი უნდა ერიდოს იმათ.

— თეთრებს რაღათა აქვთ იმათთან მისვლა-მოსვლა?—იკითხა ტასომ: რაკი ეგეთი მიუკარებელი და ბოროტი ხალხია, რატო თავს არ ანებებენ?

— იმათთან მისვლა-მოსვლა გვაქვს მხოლოდ ვაჭრობისთვის, ვაჭრობა აუცილებელია. რაც ერთს ერსა აქვს, ის მეორეს უჭირს, ამისათვის დადიან ერთმანერთში და ან ყიდულობენ საქონელს, ან

სცვლიან. მაგალითად, ჩვენ გვინდა ყავა, ჩაი, ბრინჯი და სხვა ამ გვარი სურსათი, რომელიც ჩვენში არ მოდის. ჩვენი ერი მიდის შორს ქვეყნებში, მიაქვს ფარჩეულობა, დანები, სარკეები და ბევრი რამ ამ გვარი და იქ ყავაზედ, ჩაიზედ და სხვა გვარ სურსათზედა სცვლიან.

საეაჭრო გემებს გარდა ზღვაში დადიან, აგრეთვე, გემები აღჭურვილი ზარბაზნებითა და მეომარ ერთთა, რომლებიც იცავენ საეაჭრო გემებს ყაჩაღებისაგან. ამისთანავე გემს ჰქვიათ „სამხედრო გემი.“

— განა ზღვაშიაც არიან ყაჩაღები? — იკითხა ტასომ, — მერე სად იმალებიან?

— ბოროტი კაცი ყოველგან და ყოველს ერშია, როგორც ხმელეთზედ, ისე ზღვაზედ. ისინი როდი იმალებიან: დადიან გემებით ისევე, როგორც სხვანი. თუ ზღვაში ყაჩაღებმა სამხედრო გემი დაინახეს, მაშინვე გზას აუქცევენ და სხვა მხარეს გასწევენ.

— მერე, რა უნდა იმათგან ზღვაში ყაჩაღებსა? იკითხა დათამ.

— ძალიან ბევრის წართმევა შეუძლიანთ— მიუგო მამამ: ზღვაში დადიან, როგორც უკვე გითხარით, ვაჭრების ძვირფასი საქონლით და ფულით დატვირთული გემები, სულ ამისთანა გემებს ცარცვენ ისინი. ამას გარდა ბოროტ ხალხს დიდძალი ტყვეები გაჰყავთ აფრიკიდგან ამერიკამდის და იქა ჰყიდიან. როგორცა ხედავ, ადამიანსაც კი ჰყიდიან და ყიდულობენ. ამ ოცდა ათის წლის წინათ თავისუფლად შეეძლო ყველას მონებით ვაჭრობა, შემდეგ კი აკრძალულია და სასტიკათაცა სჯიან; ახლა მხოლოდ აფაზაკები ბედვენ მონებით ვაჭრობას. თუ ენცილობა სამხედრო გემი შეხვდა ამათ, როდესაც მონები მიჰყავთ გასასყიდათ, მონებს ათავისუფლებენ, ვაჭრებს კი სასტიკად სჯიან.

— რა არი ტყვე, ანუ მონა? — იკითხა ტასომ.

— ტყვეს ანუ მონებს ეძახიან იმ ხალხს, რომლებსაც ადამიანმა ძალით წაართო ღვთისგან მიცემული, მინიჭებული თავისუფლება; ამისთანა ხალხს პირუტყვივით ჰყიდიან და ამუშავენ.

— სწორედ ის საძაგელი ველური ხალხი კი იზამს მაგისთანა სისაძაგლეს — მონებით ვაჭრობას, არა? — იკითხეს ბავშვებმა.

— მარტო ველური ხალხი არა სჩადის ამას. ველური ხალხი იმონებს მხოლოდ ომში ტყვედ წამოყვანილებს; თეთრები ამ შემთხვევაში ველურ ხალხზე ყაჩაღები არიან: მონებით ვაჭრობა დაიწყეს თეთრებმა და არა ველურმა ხალხმა.

— რამდენი ბოროტი ხალხია ქვეყნიერებაზედ! — სთქვა დათამ.

— თუ ბოროტი ხალხია ქვეყნიერებაზედ, კეთილი ხალხიც მოიპოვება. მაგალითად, ათას რეაას სამოც წელში ამერიკაში დიდი სისხლის ღერა, ომი იყო, რომ მოესპოთ მონებით ვაჭრობა. რუსეთიც ომობდა აზიაში, — მონების მოსასპობად. ორივე ომი გათავდა იმით, რომ მოისპო მონობა და მონებით ვაჭრობა აზიაშიაც, ამერიკაშიაც.

— მაინც, დათავა მამამ, — მთელი ჩვენი ცხოვრება წარმოადგენს ბრძოლის ველს, სადაც კეთილი და ბოროტი ერთმანერთს ებრძვიან.

თავი მათი

ცხელი და ცივი ქვეყნები.

უქმე ღლეა. ცუდმა ამინდმა ხელი შეუშალა ჩვენ ბავშვებს სასიეროდ წასასვლელად. იმ ღლეს შინ დარჩენ, მაგრამ მოწყენით არ გაუტარებიათ ის ღლე! მათთვის დიდი მაგიდა (სტოლი) იყო ოკეანე, წიგნები — სხვა-და-სხვა ქვეყნები. დათამ ქალაქის სამხედრო გემები გააკეთა, შიგ თავის მხედრები ჩასხა, სხვა-და-სხვა ქვეყნებში გაჰფანტა. ველური ხალხისა და ინდოელების მაგიერ ცერცვი გაჰფანტა. აფრიკის მახლობლად, კაკლის ნაჭუჭის გემით დადიოდენ ზღვის ავაზაკები და იჭერდენ შავ ხალხს; ამათ კი სამხედრო გემები იჭერდენ, ავაზაკებს ზღვაში ჰყრიდენ, შავებს სამშობლო ქვეყანაში ისტუმრებდენ.

გემები დადიოდენ აფრიკასა და ამერიკას შუა. აბა, ამ მოგზაურობის დროს ბავშვებმა უცებ შენიშნეს ჩრდილო-ოკეანეში წითელი ხმელეთი. ზოგიერთა სამხედრო გემები დათასი მიადგენ ამ ხმე-

ლეთს, თუმცა თვით ბავშვებმა არ იცოდენ, რა ქვეყანა იყო ესა, ან რა ხალხი ცხოვრობს იმაზედ, და მამას მიჰმართეს კითხვით.

— ეგ ქვეყანა ჯერ არ იციან, კუნძულია თუ, ხმელეთის მცირე ნაწილი, რადგანაც ჯერ არ გამოუყველევიათ. როგორა გგონია, დათა, შენა: ცივა ამ ქვეყანაში, თუ თბილა?

— რასაკვირველია, ცივა, — მიუგო დათამ. — ეს ქვეყანა პოლიუსის ახლო ძვეს. ორივე პოლიუსებთან, როგორც კი ვიცი, ძალიანა ცივა.

— მაშ აგრე, შეილო. პოლიუსებს ახლო ყინულის მთების მეტი არა არის რა, თუმცა ამ ბოლოს დროს კი აღმოაჩინეს, რომ ყინულ ქვეშ ზოგიერთ ადგილებს დედა-მიწა ყოფილა. ეს წითელი დედამიწა უნდა იყოს; მაგრამ შორს მანძილზედ კი ჯერ ვერავის გაუბედნია წასელა. როგორც ფიქრობენ, ამ ქვეყანაში ერი არ უნდა ცხოვრობდეს.

— მაშ რილასთვის დადიან აქ გემები? — იკითხა დათამ: თუ ზედ არაეინ ცხოვრობს, მაშასადამე, არც ვაჭრობა იქნება და არც ზღვის ავაზაკები იქნებიან.

— მარტო სავაჭროთ კი არ დადიან გემები: ზოგიერთი გემი მიდის რომელიმე ქვეყნის მეცნიერულად გამოსაკვლევად. როდესაც მეცნიერი ერი უცნობ ქვეყანაში მოვა, დანიშნავს: სადა ძვეს ეს ქვეყანა, რა ერი და ცხოველი ცხოვრობს, რავარი ხე და ბალახი მოდის და სხვა; მერე დაბრუნდებიან შინა და ყველა ამას დასწერენ, დახატავენ და ყველას შეატყობინებენ.

— კარგი არ იქნება ამისთანა გემით მოგზაურობა! — ინატრა დათამ.

— ეს გემები, — განაგრძო მამამ, — ძალიან დიდხანს მოგზაურობენ, ინახულებენ ხოლმე სხვა-და-სხვა ქვეყნებს და ერთა. მართალია, შენ ნატრულობ იმ გემით სიარულს, მაგრამ უნდა იცოდე, რომ მოგზაურები ბევრს ვაჭირვებას გამოიცილიან ხოლმე მოგზაურობის დროს: ზღვის დელვას, ავაზაკების დაცემას და ხან სიმშილსაც.

— მერე ეინ მოგზაურობს ამისთანა გემით? — იკითხა ტასომ. — ველური ხალხი ხომ არა?

— სამეცნიერო აზრით მოგზაურობას, ქვეყნებისა და კაცობრიობის სხვა-და-სხვა ტომის შესასწავლებლად ყველა ვერ შესძლებს, ყველას არ შეუძლიან; ამისათვის საჭიროა ბევრის ცოდნა, კარგი განათლება, — დაიწყო მამამ. — ევროპელი ხალხი ყველაზედ განათლებული ხალხია ქვეყნიერობაზედ. პირველად ევროპელებმა დაიწყეს მოგზაურობა, ხალხისა და ქვეყნიერების შესწავლა და თითქმის მთელი ცის ძირიც მოიარეს. უნდა შენიშნოთ, რომ ცივი ქვეყნების მცხოვრები ხალხი ვერ იტანს სიცხეს, ცხელი ქვეყნების მცხოვრებნი — სიცივეს. ჩვენ, ევროპელები კი სიცხესაც ვიტანთ, სიცივესაც, რადგანაც ჩვენი ქვეყანა არც ძალიან ცივია, არც-ცხელი. აი, ეს არის მიზეზი, რომ ევროპელებს ყველგან შეხვდება კაცი, ცხელ ქვეყნებშიაც და ცივშიაც.

— როგორ დადიან გემები ცივ ქვეყნის ზღვებში, თუ ძალიანა ცივა? იკითხა დათამ.

— როგორც ყველა ქვეყანაშია ზაფხული, ისე ცივ ქვეყნებში. მართალია ძალიან მოკლე ზაფხული იცის ცივ ქვეყნებში; მაგრამ ყინული მაინც ასწრობს გაღზობას; მერე შემოაუბერავს ქარი და გაჰფანტ-გამოჰფანტავს ყინულს ისე, რომ გემებისთვის გასაღელელი გზა არის ხოლმე. აი, სწორედ ამ დროს მოდიან აქ გემები და ცდილობენ, რომ ზღვის გაყინვამდის გავიდენ იქიდან.

— თავათ ჩვენში როგორი ცივი და საძაგელია ზამთარი და ახლა ცივ ქვეყანაში რაღა იქნება! — სთქვა დათამ.

— მართალია, იქ ძალიან ცივა ზამთარში. ჩვენებური ზამთრის სიცივე, იქაურ სიცივესთან შედარებით, სითბოთ გვეჩვენება. — ტყუილად ჰფიქრობ, რომ ზამთარი არ ვარგა, მოსაწყენია, ყოველი წელიწადის დრო კარგია თავის დროზედ. ზამთარიც სასიამოვნო უნდა იყოს ჩვენთვის იმისთვის, რომ უზამთროდ გაზაფხული არ იქნებოდა.

— მაშ ცხელ ქვეყნებში გაზაფხული არ იცის? — გაიკვირვეს ბავშვებმა.

— არა. გაზაფხული მოდის იმ ქვეყანაში, სადაც ზამთარი იცის და სადაც ბუნება ზამთრით იძინებს. კიდევ იმისთვის შეეხარით

ხოლმე გაზაფხულს, რომ ამ დროს ბუნება იღვიძებს, ცოცხლდება. მთელი ზამთარი არ გვინახავს მწვანე, არ გავგიგონია ფრინველის გალობა და როცა ერთსაც დაინახავთ და მეორესაც გავიგონებთ, საზღვარი არა აქვს ჩვენს სიხარულს, სიამოვნებას. მთელი წელიწადი რომ მწვანით იყოს შემოსილი ჩვენი ქვეყანა და მუდამ გვესმოდეს ფრინველების გალობა, მაშინ ორივე მოგეწყინდებოდა და ისეთი სასიამოვნო აღარ იქნებოდა.

მაგალითად, ცხელი ქვეყნების ხეები ჩვენ ხეებზედ დიდია, ლამაზი და უკეთესი ფოთლით არის შემოსილი, უკეთესი ყვავილი აქვთ: მაგრამ იქაური ხალხი იმ სიამოვნებას ვერ გრძნობს, როგორც ჩვენა, რადგანაც იქაურებმა არ იციან, რა არის ბუნების ძილი, — იმათ ყოველთვის თვალ-წინა აქვთ მწვანე.

— მაშ ცხელი ქვეყნის მცხოვრებს არც თოვლი უნახავთ, არც ყინული? — იკითხა დათამ. მგონია, გაცოდებოდნენ ჩვენ ქვეყანაშიაც, რომ მოსულიყვენ და ენახათ.

— ცხელ ქვეყნებშიაც იცის თოვლი: მაღალ მთებზედ დასდებს ხოლმე თოვლს, — მიუგო მამამ.

— იმისთანა სიცხეს, როგორ უძლებს თოვლი? — იკითხა ტასომ.

— ცხელა, მართალია, მაგრამ მაღალ მთებზედ კი არა.

— მთებზე რაღა? — იკითხეს ბავშვებმა.

— ეხლავ აგისხნით. დედამიწა ისევე იზიდავს ჰაერს, როგორც ყველა საგანსა, მაშასადამე ჰაერსაცა ჰქონია სიმძიმე. მართალია, ძალიან მსუბუქია ჰაერი, მაგრამ მაინც ზევითი ჰაერი ქვეითას აწევება, ასქელებს და ამკვრივებს. რაც უფრო სქელია, მკვრივია საგანი, იმდენი უფრო ხურდება, ცხელდება. მაგალითად, ხის ნაჭერი და ქვის ნატეხი, რომ ერთი ხანი დაედოთ მზეზედ, შევნიშნავთ, რომ ქვა უფრო გაცხელებულია, ის უფრო გახურებულია; აქედგან ცხადია, რომ ჰაერის ქვეითი ნაწილი უფრო უნდა გახურდეს, მინამ ზევითი. რაც უფრო ზევით ახვალ, იმდენი უფრო შეგცივა. იმდენი უფრო ცივი ჰაერია, მაღალ მთაზედ კი ძალიანა ცივა. ბევრი მაღალი მთები დათოვლილია, ზაფხულშიაც კი, ცხელ ქვეყნებში: მთის მწვერვალებზედ

ს ა მ ე ა ლ ი

იმდენად ცივა, რომ თოვლი დადნობას ვერ ასწრობს. ჩვენგან სა-
მხრეთითა ძვეს ერთი სახელმწიფო, რომელსაც შევიცარია ჰქვია
და რომელშიაცა ამართულია მალალი მთები ალპიისა. ამ მთებზედ
წამთარ-წაფხულს დიდი თოვლი ძვეს და ზოგიერთა ადგილებზედ,
ყინულიცა. ამ ადგილებს საყინულეს ეძახიან. როგორც უნდა ცხელო-
დეს, როგორც უნდა ხურდებოდეს მთის ძირი და ხეობები, მთის მწვე-
რვალზედ მაინც ცივა და თოვლი არა დნება.

— მაშ ერთსა და იმავე მთაზედ მუდმივი თოვლიც შეიძლება
იყოს ზე აყვავებული, ამწვანებული ადგილებიც—სთქვა დათამ.

— ეგრეც არის—ამწვანებული და აყვავებული ველიდგან, და-
ბურვილი ტყიდგან მიღიხარ ზევით და ახელ მთაზედ, სადაც თოვლს
გარდა არა მოიპოვებარა: არც სულიერი არსება, არც მცენარე.
ამისთანა ადგილას წამთარი გვერდში უდგას წაფხულს და მათ შუა
გაწაფხული და შემოდგომა არ არის. იმწრეს, რომლის ზევითაც ისე
ცივა, რომ წამთარ-წაფხულ აუღებლად ძვეს თოვლი, თოვლის სა-
ზღვარს ეძახიან.

— მაშ თვით დედამიწის სარტყელთანაც შესაძლებელია თოვ-
ლი იყოს?— იკითხა ტასომ.

— რასაკვირველია, შესაძლებელია,— მიუგო დათამ მამის მა-
გიერ,— იქ ძალიან მალალ მთაზედ შეიძლება თოვლი იყოს.

— მართალი ხარ,— უთხრა მამამ.— იმ ქვეყანაში, სადაც ვაკე
ადგილას ცივა, თოვლის საზღვარი ვაკეზედგევა; მაგალითად პო-
ლიუსებთან: იქ წამთარ-წაფხულ აუღებლად ძვეს თოვლი. ჩვენში,
სადაც ზომიერი ჰაეა, თოვლი მხოლოდ ორ ვერს ნახევარ სიმაღ-
ლეზედ მოდის. როგორცა ხედავთ, სითბო-სიცივე მარტო იმაზედ
კი არ არის დამოკიდებული, თუ მზის სხივები როგორ ეცემიან რო-
მელსამე ადგილს: სწორედ, თუ აღმაცერად; არამედ ადგილის
სიმაღლეზედ და მდებარეობაზედაც; ავილოთ, მაგალითად, ასეთი
სურათი ცხელის ქვეყნის მთისა: მთის ძირში—ცხელა, შუა წელზე
ზომიერი ჰაეა და ისეთი მცენარეები, როგორიც ჩვენს ქვეყანაში,
მთის მწვერვალზედ კი აუღებელი თოვლი ძვეს.

— რა არის მთის ძირი?— იკითხა ტასომ.

— მთის ძირი ჰქვიან იმ ვაკე-ადგილს, საიდგანაც იწყება მთა. მთის დანარჩენ ზედაპირს ეძახიან ფერდობს, ანუ მთის კალთებს; თუ მთის კალთა ძალიან დაქანებულია, ციცაბოა— ფრიალო ეწოდება, მთის წვერს— მწვერვალი. რამდენსამე ერთმანეთთან მდებარე მთას, ანუ გორას, ვეძახით ქედს, თუ ამისთანა ქედზე ვაკეა, იმას ვაკეგორა ჰქვიან. როცა ქედი ჩაზნექილია, იმას ვეძახით უღელტეხილს. როცა მთის ქედი დაბლობია, იმას სერს ვეძახით.

— ზოგიერთა ხალხი რათა ცხოვრობს ჩრდილოეთში, სადაც დიდი სიცივეები იცის? იკითხა ღათამ!— სამხრეთისაკენ გაიწვედნენ პატარას და ზომიერ ჰავაში, ან ქვეყანაში იცხოვრებდნენ.

— მართალია, შეეძლოთ გარდასახლება მაგისტანა ქვეყანაში, მაგრამ მაგას არა სჩადიან. შენ თითონ რომ იყო იმათ ადგილას, დანებებდი თავს შენ დედ-მამას, სახლს და სამუდამოთ გადასახლდებოდი?

— ეგ ძნელია, მაგრამ განა მთელ სახლობას არ შეუძლიან გადასახლება?

— შეუძლიან, მაგრამ ეგ ისეთი ადვილი კი არ არის, როგორც შენა გგონია, — განაგრძო მამამ, — ყველა ჩვენგანსა ჰყავს მახლობელი, ნათესავი, ნაცნობი და მეგობარი, რომლებსაც ადვილად ვერ დასთმობს კაცი და სამუდამოთ ვერ გამოეთხოვება. ამას გარდა, კაცს თავის ქვეყანაში საქმე აქვს, საცხოვრებელი და ადვილად ყველაფერს თან ხომ ვერ წაიღებს! ის ადგილი, სადაც ჩვენ დავიბადეთ, სადაც სიყმაწვილე და სიყრმე ჩვენი გავატარეთ, ისევე გვიკრავს გულში და არ გვიშორებს, როგორც ანდამატი, და მისი მოშორება, თავის დანებება, ძალიან ძნელია. აი, პოეტი ამაზედ ამბობს:

„ვინ არ შეესტრფით მას ადგილს,
სად ჯგეფნილნეს პირველ თვალნი,
სად რბიოდა სიყმაწვილე
მხიარულად ნათლად ჩვენი?
სად გეფარვიდა ნებიერად
ხვევნა აღერსით მშობლისა!“

ან კიდევ:

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ, სად მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმიდევ ვშობილვარ, ჩემი სამშობლო ის არი!
არ გავცელი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცელი მე ჩემ სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!“

— მაშ რა ძნელი იქნებოდა სამშობლოს მოშორება იმ ხალხისათვის, ჩვენ რომ ენახეთ,—სთქვა დათამ.

— ძალიან ძნელი იქნებოდა, ლაპარაკი არ უნდა,—დაუმატა მამამ,—როცა ისინი ჩაცვივდებიან უცხო ქვეყანაში, უცხო ხალხში, სადაც მათ მახლობელი და გულშემატკივარი არ ეყოლებათ, ბევრჯელ მოიგონებენ თავიანთ სამშობლოს, თავიანთ ნათესავენს, მეგობრებს და მთელი თავიანთი სიცოცხლე მარტო მოგონებით ინუგეშებენ! აი, რას ამბობს, ერთი უცხო ქვეყანაში გაგზავნილი პოეტი:

„გადმოხვეწილმან ჩრდილოს წყვიდადსა,საღლა იხილოს ცა მშობლიური?
გულს ეწუხების, რა აგონდების დღენი წარსულნი ნეტარებისა;
მაგრამ მოთქმითა ნუგეშ-ეცემის და ჭმუნვა მითაც შემეცირდებისა!“

ან კიდევ მეორე ლექსი:

„მე აწ სოფელი მოყვასთ მაშორებს,
დამიხშავს კლიტით მამულის კარებს;
ვეღარ ვისუნთქავ ჰაერით ტკბილით,
მისთვის მიბრალეთ გულით ღმობილით!
მეივალ, გარნალა სული აქ მჩხების.
მუნ სევდის ქოხი ობლად დამჩხების...“

— მაშ რაღათ მიდიან, თუ კი ძნელია სამშობლოს მოშორება? — ჰკითხა მამას ტასომ.

— რასაკვირველია იმისთვის, რომ აქ იმდენს ვერა შოულობენ, რამდენიც საჭიროა მთელი ჯალაბობის გამოსაკვებათ. აქ, ჩვენ ქვეყანაში, ძალიან ძვირად უჯდება ყოველი ლუკმა ღარიბ მუშა

ხალხს! შორს ქვეყნებში კი, სადაც ხალხი ჩვენზედ უფრო ნაკლებია, მიწა ბევრი, პური და სურსათი იაფი, არ გაუჭირდებათ ცხოვრება და რიგიანათ იცხოვრებენ. გაჭირვება, სიღარიბე და ლუკმა პურის უქონლობა აბედღინებს, ათმობინებს ღარიბ ხალხს სამშობლოსა და მიჰყავს იმ სიშორეს. შეიძლება ძალათაც მოაშორონ კაცი თავის სამშობლოს და ვაგზაენონ შორს ქვეყანაში, რომ კიდევ თვითონ არ უნდოდეს.

მუდამ წელს დიდძალი ხალხი მიემგზავრება სხვა-და-სხვა ქვეყნებში. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ევროპიელებით თითქმის აივსო აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია, სადაც წინათ ველური ხალხის მეტი არავინა ცხოვრობდა. ევროპიელებმა დიდი სიკეთე უყვეს ველურ ხალხს; მიაჩვიეს სახლებისა და გემების შენებას, ტანისამოსის ხმარებას, მიწის შემუშავებას და სხვა ამ გვარს. ერთის სიტყვით, ევროპიელებმა ველური ხალხი გაანათლეს...

(დასასრული)

ერ. ბაქრაძე.

ფ უ ც ე ც ო ბ ა

(სათამაშო)

ფ მ თამაშობით იქცევენ თავს პატარა ყმაწვილები და დიდებიცა, როდესაც დიდი ღამეებია. შემოუსხდებიან გარშემო სოფლოურს, ესრედ წოდებულს „შუა ცეცხლს,“ კერას, მოუკიდებენ პატარა ფიჭვისა ან სხვა ხის წკირსა. დაიჭერს მას ერთი ხელში და ამბობს შემდეგ სიტყვებს:

„ფუცეცი, რა ფუცეცი,
ჭალას მირბოდა ხუცესი;
ვისიც ხელში ეს დაიჭროს,
სამი ჯოხი მის კისერში.“

ერთი იტყვის ამ სიტყვებს და მოკიდებულს წკირს მეორეს გადასცემს, მეორე გაიმეორებს ლექს და გადასცემს მესამეს და ასე რიგრიგობით. თუ ამ სიტყვების განმეორების დროს მოკიდებული წკირი გაქრა, მაშინ ყველა თამაშობაში მონაწილე ყმაწვილები სამჯერ ჩაკრავენ თავში იმას, ვისიც ხელში წკირი გაჰქრება.

თ. ხ.—ძისა.



ბაბუცა და სანდრო დედის დაკარგვით ძალიან დანა-
კლდიანდენ. დედის ალერსით ისინი აღარ ხარობდენ.
ესენი რომ ორიოდ დღით ნათესავთან იყვენ და მერე შინ
დაბრუნდენ, დედა სახლში აღარ დაუსვდათ. სადღაც წასულიყო
და აღარ დაბრუნებულყო. მას შემდეგ მამა მათი სულ წარბ-
შეკრულია და თვალ-ცრემლიანი.

— ნეტა ვიცოდეთ, სად არი ჩვენი დედიკო? — კითხუ-
ლობდენ სშირად ბავშვები.

ვიღაცამ უთხრა: «სეცას აფრინდაო!» და ესენიც სულ
ცას შესცქეროდენ.

ბაბუცას და სანდროს ერთი მეგობარი ჰყავდათ, სახელად
თედო. თედო ამათსევე ერთი ორი წლით იყო მეტი, სკოლაში
დადიოდა, იცოდა წერა-კითხვა და სშირად ზღაპრებსაც ეუბ-
ნებოდა ამ ბავშვებს.

ბაბუცა და სანდრო წამის-წამ ჰკითხავდენ თედოს:

— დედა რად არი სეცასაო, როდის მოვაო?

თედო ვერას უპასუხებდა, რადგანაც თითონაც არ იცოდა.


ერთხელ ესოში დედა-კაცები ლაპარაკობდენ, რომ მე-
ზობლად ერთ უცხო კაცს შეუჩვენიაო მტრედები, სრდის და
სწრთუნისო, აჩვენეს დანიშნულ ადგილას ბარათების მიტან-

მოტანასო, მერე ამ მტრედებს უცხო ქვეყანაში წაიყვანს და იქ კაი ფასად გაჰყიდისო.

თედოს ეს ლაპარაკი არ გამოეპარა, უნდოდა თავისი ამხანაგი ბავშვები ესიამოვნებინა და უთხრა ეძაწვილებს:

— მოდი, მიგიწერთ წერილს დედასთან და მტრედს კავატანოთო.

თქმა და ასრულება ერთი იყო. თედომ დაუწერა ბავშვებს ბარათი და როდესაც ის უცხო კაცი შინ არ იყო, მტრედებს დაუყარეს ბლომად ზურის ნამცეცები. თედომ მიეპარა ერთ მტრედს და დაიჭირა, ეელსედ შეაბა ეს ბარათი და გაუშვა.




მტრედმა ფრთა გაშალა და გასწია ძაღლად-ძაღლა. ბაბუცა ბსანდრო გახარებული შესცქეროდენ თავიანთ შიკრიკს და ელოდენ დედის ზასუსს... ელოდებოდენ... სანამ არ გაიხარდენ, სანამ არ ისწავლეს წიგნი, სანამ დიდრონი არ შეიქნენ...

მას ბქეთ ჩაუვარდათ ამ ეძაწვილებს გულში ყველა ობლების სიბრალული.



ანდაზა, გამოცანა და რებუსი



ანდაზები

(წარმოდგენილი ივ. გრიგოლიძისაგან)

1. ქვეყანა იქცევოდა, ტურა ქორწილს ექცევოდა.
2. კალიამ სთქვა: ცხენი არ მყოლია, ფენით არ გამიარია.
3. ასი კაცი ცხენს ჰკაზმიდა, ვაი უკაცურობასაო!
4. ფრთხილი ჩიტი ორივე ფენით გაებმებო.

გამოცანები

(მისგანვე წარმოდგენილი)

ახალ ეულსა, ხეულსა, წამალს ვადებდი რჩეულსა.
უჟალი გაკვირვებულა, რა გაუზრდია წყეულსა.

ჩემი წიქარას ნაწოლზედ, ბალახი არ ამოსულა.

შავი არის შაშვივით, მაგრამ შაშვი არ არის,
გაფრინდება ჩიტივით, მაგრამ ჩიტი არ არის.
უღელს გასწევს ხარივით, მაგრამ ხარი არ არის.

წალმა-უკულმა გაზრდილი, ვერ შემომიარს ნადირი,
გიორგობისთევს მესტუმრე, თუ ვერ მოგართვა სადილი.

ჩქარა გამოსათქმელი

(მისგანვე წარმოდგენილი)

ბერსა კაცსა ბალახესა ბლის ხოკრითა ბლის ხიდზედა ბალი
გაჰქონდ-გამოჰქონდა.

ზეპა

(წარმოდგენილი გ. ნიკოლაიშვილისაგან)

ფაფარ გაკრეკილს ცხენზედ მჯდომარე საარაკო ბრიყვათ ვნახე.
ენა ძვირ მოლაპარაკე ხელმწიფე ლამაზად ვნახე.



უცნაური გაძოცანა

(წარმოდგენილი თ. მთავრიშვილისგან)


ერთხელ ორმა ინგლისელმა მარტულაში სანაძლეო დასდევს: ვისი ცხენიც უკან ჩამორჩეს, სანაძლეო იმას ერგოსო. შეკრეს პირობა და შესხდენ ცხენებზე, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იძროდა. ასე იქნებოდნენ დიდ ხანს, რომ მათთან არ მისულიყო მესამე ინგლისელი, რომელმაც ჰკითხათ: რა მიზეზია, რომ ცხენებს არ აქენებთო. როცა შეიტყო მათი ამბავი, ინგლისელმა ორივე ცხენოსანს ყურში რაღაცა წასჩურჩულა; შემდეგ ორივენი მიაჭენებდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. გამოცანით რა წასჩურჩულა მესამე ინგლისელმა ცხენოსნებს?...

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი ა. ღ.)

პირველი ასოთ იწყება სახელი ქრისტეს დედისა.
მეორე ასოთ იწყება სახელი თათრულ ღმერთისა.
მესამით პირველს ვიგონებთ, მეოთხით ილიასაო.
და სიტყვას მითი ვათავებთ, თუ დავსვამთ ბოლოს ანსაო.

რ ე ბ უ ს ი



მე-V №-ის გაძოცანების ასსნა:

- 1) სამება, 2) ზაქარია მღვდელ-მთავარი. 3) დედა-მიწა.
- ს ა მ ა თ ე მ ა თ ი გ ე ა გ ა მ ე ც ა ნ ა : 1) აი, ორი ჩხირი: X-ესნიშნავს ათს.
- 2) უნდა ავიღოთ უხმო ასო მ; მიუმატოთ სიტყვა ათი, გამოვა მან ათი, სახელი ფულისა, რისთვისაც ყველა შრომობს. 3) ცხრა რიცხვი შევადგინოთ ასე: $15 + 36 + 47 = 98 + 2 = 100$.

შ ა რ ა დ ა : ქვა-გუნდა.

რ ე ბ უ ს ი : მგზავრს უფრო შვენის ხურჯინი, ნაბადი, ყაბალახია.

„ივერია“

გამოვა 1893 წელს (იმავე წროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი 1893 წლისათვის,

მ ი ჰ მ ა რ თ ო ს

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვა-
რანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21,
ბ) „ქართველთა-მორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოე-
ბის“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-
მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში, № 102.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგი
ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІА“.

გაზეთი წლით ღირს 10 მან., ნახევარი წლით — 6 მანათი.

მალე დაიბეჭდება და გადაეცემა გასასყიდად ყველა წიგნის მალაზიებს
ვალერიან გუნიას მიერ ავღბანილი

საქართველოს კალენდარი

1893 წლისთვის

დასრულებული მრავალი სურათებით
ფასი 45 კაპ.

უბის წიგნი

1893 წლისთვის

მრავანიერი ყლით და ყარანდავით
ფასი 40 კაპ.

სახალხო კალენდარი

მრავალ გვარ საჭირო ცნობებით
ფასი 10 კაპ.

უმთავრესი საწყობი

წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის მდღისიაში

წიგნის მოვაჭრეთა დაეთმობათ ჩვეულებრივი პროცენტი

საქმანწვილო სურათებიანი ჟურნალი

ჯეჯილი

წელიწადი მესამე

გამოვა 1893 წელსაც აგრეთვე ორ თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო სათამაშოანი და სავარჯიშოანი, სამათემატიკო გამოცანები, იგაეები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღკვეთქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—3 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისს, ბათუმს და გორში,—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102), ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Красногорская ул., д. № 7 Назарова).

2) შუთაისში—ან. ბაქრაძესთან, დიმ. ბაქრაძის სახლში.

3) გორში—ეკ. შურცელაძისას.

4) ბათუმში — მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

5) საჩხერაში—ყარამან ჩხეიძისას.

ზოგჯერ აღრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго мѣсячнаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

